წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. შაბათი, 14 გიორგობისთვე 1915 წ. № 143

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ ჴრ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.


## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ჴვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

## სახალხო სახლი (ვ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად

## ახალი ცხოვრება

პიესა 4 მოქ. პოტაპენკოსი, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი ✦ ✦ ✦ **დასაწყისი საღამოს 8 საათზედ**

**ადგილების ფასი სამი შაურიდან მანათ ნახევრამდე**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია **სამშაბათს 24 ნოემბერს.**

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგად.

მორიგი წევრი გამგეობისა **ი. გედევანიშვილი.**

„წყნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

## სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად. ნომრები და ბუფეტი

15—1 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

## „ხარფუხის საზოგადო კლუბი“

(მიხეილის პროსპექტი № 129—131)

**შ ა ბ ა თ ს,** 14 გიორგობისთვეს **სიმებიანი ორკესტრი** ბ. პრესმანის ლოტბარობით.

**კ ვ ი რ ა ს,** 15 გიორგობისთვეს. **სამუსიკო საღამო.** ბ. პრესმანობის ლოტბარობით, ქ-ბ. ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით. „სოპრანო“.

**სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათ. წარმოდგენების და კონცერტების საღამოს 8-ნახევარ საათზე.**

სტუმრებს კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

## „პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

✦ მზადდება ყოველნაირი ✦

## ევროპიული და აზიური საჭმლები

**ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.**

თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.**

25—8

## გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე

**მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

✦ **ვერის დაღმართი № 1** ✦

ტელეფონი 17—05

ქ. გ ო რ შ ი

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და **იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.

**საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36,** მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს დილაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.


მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფ

## ვიკენტი (ჭოლა) ლომთათიძის

**ამხანაგები და პატივისცემელნი** აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ განსვენებულის ცხედარს მოასვენებენ თბილისში დღეს, 14 გიორგ. რკინის გზის სადგურიდან ცხედარს დღესვე, შაბათს, საღ. 4 საათზე წაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა მოხდება კვირას 15 გიორგობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი, 12 გიორგობისთვე. ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. გუშინ საღამოს გერმანელები შეეცადნენ კემბერნისკენ წამოსვლას, მაგრამ უკუ აგდეს. ბერზემიუნდესთან ბრძოლა გრძელდება. ამ მიდამოებში რუსებმა აიღეს ერთი სიმაღლე და ხელთ იგდეს 100 გერმანელი ტყვე და 6 ტყვიისმფრქვეველი. სვენტენის ტბის სამხრეთ-დასავლეთის ბოლოზე რუსებმა წინ წაიწიეს. მოპირდაპირე უნაყოფოდ შეეცადა ამ მიდამოებში რუსების მიერ წართმეული სანგრები დაებრუნებინა. სმორგონის მიდამოებში მოპირდაპირემ ზოგიერთ ადგილას ზარბაზნის ცეცხლი გააძლიერა. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. სტუმენის მარჯვენა ნაპირას, მოპირდაპირემ იერიში მიიტანა სოფ. კომორაზე, მაგრამ მოიგერიეს. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას, რამდენიმე შეტაკების შემდეგ სოფ. პოლჩერევიჩი რუსების ხელშივე დარჩა. მდ. სტრიპაზე, სოფ. სემიკოვეცის მიდამოებში, რუსის ჯარმა იერიში მიიტანა მტერზე და მდინარემდე სდია. აქ ნაწილი დახოცეს, ნაწილი დაჭრილია. გალიციაში ადგილ-ადგილ ზარბაზნის სროლაა გაჩაღებული. მტერი ხშირად ხმარობს ცრემლის გამომწვევ საშუალებას.**

**კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.**

---

13 გიორგობისთვე.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** საღამოს ცნობა. ბრიულესტყის გარდა, ვევრში, დილით ყველგან სიწყნარე იყო. აქ კი მოპირდაპირე მხრჩოლავი გაზით გატენილ ყუმბარებს ისროდა. დღისით მტერმა არტუაში გააძლიერა ზარბაზნის სროლა. აქ, არრასის სადგურს 50 ყუმბარა ესროლა, აგრეთვე უშენდა ლოოსისა და სუშეს მიდამოებს. სუასონისა და შამპანის მიდამოებში უფრო ნაკლები სროლა იყო. ფლორესა და რელონის მიდამოებში, აგრეთვე ვოგეზებში ტეტდე-ფოსა და გარტმანსვეილერკოპფთან უფრო მედგარი სროლა ასტეხეს. ფრანგებიც მარჯვედ უპასუხებდნენ.

**ბელგეთის ასპარეზი.**

**ჰავრი.** ბელგეთის ცნობა. 11 გიორგობისთვეს საკმაოდ მძლავრი ზარბაზნით ბრძოლა იყო. ბელგიელებიც უშენდნენ ზარბაზნებს მტრის სანგრებს და მათი მუშები გაჰფანტეს. გერმანელები მედგრად უშენდენ დიუქსმიუდესა და ნიუპორტას შუა მდებარე ადგილებს, აგრეთვე ნოორდ-ბოოტესა და სტეენსტრესტეს შუა მდებარე ადგილს.

**ოსმალეთი.**

**ბუქარესტი.** ორშოვოში მიმავალი ენვერ-ფაშა მრავალ-რიცხოვანი ამალით გუშინ სოფიას ესტუმრა. ორშოვოში იგი ნავმოსნით გადავა მდ. დუნაიზე. ამბობენ, ორშოვოში სამხედრო თათბირი მოხდება გერმანელთა მთავარ შტაბის გენერალ ფალკენჰეიმის მონაწილეობითაო.

**საბერძნეთში.**

**ათინა.** გაზეთები ეხებიან მოკავშირეთა 9 დესპანების მიერ გუშინ გადადგმულ ნაბიჯს და ამბობენ კეთილად დაბოლავდება საქმეო.

მალტას კუნძულთან დატყვევებულ საბერძნეთის დატვირთულ გემებს ნება მისცეს თავისი გზა განაგრძოს. ამასთანავე მალტას საშუალებით დეპეშების გზავნის დასტურიც მისცეს.

**საფრანგეთში.**

**პარიზი.** გენერალ გალიენის მოხსენების თანახმად სამხედრო კომისიამ დაადგინა 1917 წლის გასაწვევნი ამ წლის 3 ქრისტესშობისთვეს მოქმედ ჯარში ჩარიცხოს.

**გერმანეთში.**

**კოპენჰაგენი.** „კელნიშე-ცაიტუნგი“ იტყობინება: რეიხსტაგის მომავალ კრებაზედ იმპერიის კანცლერი ვრცელ სიტყვას წარმოსთქვამს გერმანეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის თაობაზე.

„ლიამუშე-ცაიტუნგ“-ის ცნობით, გერმანელთა სამხედრო მთავრობამ ვილნოს მცხოვრებლებს სულზე 4 მანეთი გააწერა. ლოძში გერმანელებს მოუგროვებიათ პლატინა.

„სოციალ-პრაქსის“ ცნობით, გერმანეთის მთავრობას საყოველთაო სურვილის თანახმად, განუზრახავს, რეიჰსტაგში შეიტანოს კანონ-პროექტი, რომლის ძალით ყველა სააქციონერო საზოგადოებათ მოგების ნახევარი გადასდონ მთავრობის თავისუფალ განკარგულებაში.

**შვეციაში.**

**კოპენჰაგენი,** მინისტრ-პრეზიდენტი და რიკსდაგის სხვა და სხვა პარტიების ბელადები შეთანხმდნენ, მომავალ კვირის გასულს მოახდინონ ფარული კრება, რომელზედაც მთავრობა სხვა და სხვა კითხვაზე განმარტებას წარადგენს.

**ინგლის-ოსმალეთი.**

**ლონდონი,** ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარიატი იტყობინება: თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ორშაბათს მთელს დღეს გაგრძელდა, ინგლისის ჯარმა აიღო სანგარი კტეზიფონთან, ბაღდადიდან 18 ვერსის მანძილზე. ტყვეთ წამოუყვანიათ 800 კაცი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და მოწყობილობა. მტერს თითქმის 2000 მეომარი დააკლდა დახოცილებით. იმავე ღამეს ოსმალებმა სამაგიერო იერიში მიიტანეს, მაგრამ უნაყოფოდ. თუმცა წყლის უქონლობამ ინგლისის ჯარი იძულებული გაჰხადა მდინარისკენ დაეხია 3—4 ვერსის მანძილზე.

**გერმანეთში.**

**კოპენჰაგენი,** „ბერლინერ-ტინდენდე“ დეპეშით იტყობინება: რეიჰსტაგის სხდომათა განახლების გამო, დღეს სოციალდემოკრატებს თათბირი ჰქონდათ. ხვალ და ზეგ მთავრობასთან და სხვა და სხვა გჯუფებთან გაიმართება მოლაპარაკება, რომელთაც კანცლერი ამის გამო თავისთან დაიბარებს.

**შვეცია.**

**სტოკჰოლმი.** გუშინ დღისით ქრისტინეჰაგში აფეთქება მოხდა ბიერკბორნის თოფის წამლის ქარხანაში, როდესაც წამლის დამზადებელ ახალ მანქანას სცდიდნენ. იმსხვერპლა ინჟინერი და მუშა.

**სერბეთის ასპარეზზე.**

**ათინა,** აქ მიღებულ ცნობებით, კაჩანიკის უღელტეხილთან ბულგარები დიდის ზარალით მოუგერიებიათ. მონასტირის ჩრდილოეთით სერბებმა, თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ, მტრის მრავალრიცხოვნობის გამო, ცოტა მანძილით უკან დაიწიეს. გერმანელები სცდილობენ სერბიელებს მონასტირისაკენ დაახევინონ, რისთვისაც დაიჭირეს ლესკოვეც-პრილეპის ხაზი, თუმცა ჯერ კიდევ სერბთა ხელშია პრილეპის გამაგრებული ადგილები და კრუშევო. თუმცა დამაფიქრებელი ხმები გავრცელდა, მაგრამ სამხედრო საქმის მცოდნეთა წრეების აზრით, რადგანაც სერბეთის ჯარი დაურღვეველი დარჩა, იგი კიდევ დიდს წინააღმდეგობას გაუწევს მოზღვავებულ მტერს. კაჩანაკის მიდამოებში სერბეთის ჯარმა მტერს შეუტია.

**პეტროგრადი,** „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ გამოცხადებულია, რომ რუსეთიდან ბეწვეულის გაზიდვის ნება მიეცათ მოკავშირე და ნეიტრალ სახელმწიფოებში.

**რომი,** 12 ნოემბერი. მოწინააღმდეგე სცდილობდა ზოგიერთი პოზიციები დაებრუნებინა, რომელნიც იტალეთის ჯარმა წინა დღით დაიჭირა. მაგრამ ავსტრიელები უკუ გდებულ იქმნენ. ბრძოლის ველზე დასტოვეს 300 მოკლული. სანმიკელეს მთასთან ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ მთის და სანმარტინოს შუა იტალიელებმა აიღეს სიმაგრენი და ტყვედ შეიპყრეს ყველა ციხის დამცველნი. ავსტრიელები შეეცადნენ დაკარგულ პოზიციების უკან დაბრუნებას, მაგრამ გაფანტულ იქმნენ. 514 ტყვე შეიპყრეს, მათ რიცხვში ბევრი ოფიცერია. წამოუღიათ ნადავლი. არსიროსა და ალაში ავსტრიელებს ჰაეროპლანიდან ყუმბარები ჩამოუყრიათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საბერძნეთი.**

**საბერძნეთის არჩევანი.**

„დენ“-ის თანამშრომელი ს. დიმიტრიევი სწერს: თუ გერმანელებს და ოსმალებს იმდენი ჯარი ჰყავთ, რომ საბერძნეთის ზღვის პირის ასპარეზს მოუარონ, მაშინ საბერძნეთის ყოყმანსაც ბოლო მოეღება. ამას წინად მომხდარი ამბები გვაფიქრებინებს, რომ თუ ბულგარელ-გერმანელებმა ბიტოლთან გაიმარჯვეს, მოკავშირეები საბერძნეთის ზღვის სანაპიროებზე იერიშის მიტანით ვერ შეაშინებენ, თუ კი საბერძნეთი დარწმუნებული იქნება, რომ ავსტრეთ-ოსმალეთიდან საკმაო ძალებს მიაშველებენ. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოკავშირეებმა თითქოს აქტიური მოქმედება განაახლეს, რომ ოსმალეთის ჯარი აქ დააბანდონ და საშუალება მოუსპონ საბერძნეთ-სერბეთისაკენ ჯარის გადაყვანისა. მაგრამ ასეთი ხერხი ნაკლებად საიმედოა. საბერძნეთის არჩევანიც ისევ იმისდა მიხედვით მოხდება, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება საბერძნეთი, თუ ჩრდილოეთის გავლენას დაექვემდებარა.

**ყოველ-დღიურ მოლოდინში.**

მსოფლიოს საბერძნეთისკენ აქვს ყურადღება მიქცეული. ყოველ დღე მოლოდინში არიან, საით გადასძლევს მის გარდაწყვეტილების სასწორი. ბოლო დროს იმედებმა თითქოს იფეთქა. ბალკანეთის კრიტიკული მდგომარეობა უმწვერვალეს სიმწვავეს განიცდის. უიმედობა სერბეთის ხსნისა თანდათან საბუთდება. დღეს თუ ხვალე სერბები იძულებული გახდებიან იარაღი დაჰყარონ, თუ დროზე არ მიაშველებენ მოკავშირენი ჯარს. ეს მით უფრო საგულისხმიეროა, რომ მოკავშირეთა ძალაზეა დამოკიდებული საბერძნეთის გარდაწყვეტილება. დიპლომატები ოთხთა კავშირის წინ აღარასფერს არ ერიდებიან, არც მუქარას, არც დაპირება-დაყვავებას. ჰფიქრობენ, საბერძნეთი ძველს პოლიტიკას უარსა ჰყოფს. მაგრამ როდის მოხდება ყველა ეს,— ჯერ ჯერობით საიდუმლოა საიდუმლოებათა...

---

ჟენევის გაზეთების ცნობით, გერმანელები სცდილობენ, რათა საბერძნეთის მთავრობასა და სალონიკში მყოფ მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო პირთ შორის უთანხმოება ჩამოაგდონ.

ამ ჟამად სალონიკსა, პირეასა და ათინაში გერმანელი ოფიცრები საერო ტანისამოსში გამოწყობილნი საბერძნეთის შტაბის ავტომობილებით დასეირნობენ. ამბობენ, ზემორე აღნიშნულ ქალაქთა მახლობლად უმავთულო ტელეგრაფის სადგურები ააგეს, გერმანელთა წყალქვეშა ნავების ცნობის მისაწვდენადაო. ეს სამი დღეა სალონიკზე გერმანელთა ჰაეროპლანები დაფრინავენო.

---

მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანების მიერ საბერძნეთის მთავრობისადმი წარდგენილ მოთხოვნილებათა განსახილველად მინისტრთა საბჭო ღამის 3 საათამდე თათბირობდა.

მოკავშირეთა სამხედრო გემები ფხიზელ თვალ-ყურს ადევნებენ ეგეისა და ხმელთა შუა ზღვაში მცურავ გემებს.

პარასკევს დილით ლორდი კიტჩენერი ათინას ესტუმრა. მას მეფე კონსტანტინე სადარბაზოდ მიიღებს.

**სპარსეთი.**

სპარსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ფერმან-ფერმამ ბრძანება გასცა თეირანში ყველა სახლები გაჩხრიკონ, ყუმბარებისა, ნაღმისა და იარაღის აღმოსაჩენად. აგრეთვე დარაჯები დააყენა ქალაქის შესავალ კართან, რათა ქალაქში შემსვლელ-გამსვლელნი და დატვირთული აქლემები, ცხენები თუ ურმები გაჩხრიკონ ხოლმე. ჟანდარმერიას უბრძანა, კუმის სატელეგრაფო მავთულები აღადგინონ და გერმანელთა მომხრე ჰუსეინ-ზადეს რაზმი დაატუსაღონ.

**რუმინეთი**

რუმინეთის მეფე ყოველ დღე კრებებს მართავს და თათბირობს სენატორებთან და ხალხის წარმომადგენლებთან. მოკლე ხანში რუმინეთი საბოლოოდ გარდასწყვეტს, თუ რა გზას უნდა დაადგეს.

**ოსმალეთი**

ოსმალეთის პარლამენტის გახსნის დროს დიპლომატების და რჩეულ ხალხთა თანადასწრებით სულთანს გრძნობიერი სიტყვა წარმოუთქვამს, სადაც აღუნიშნავს ოსმალეთის ჯარის ხელსაყრელი და კარგი მდგომარეობა. დასასრულ სულთანს უთქვამს: რაკი ბერლინ-ვენა-კონსტანტინეპოლზე გზა გაიხსნა, ოსმალეთს მოკავშირენი გაუწევენ დახმარებას და მომავალში ბედნიერება და აღყვავება გველისო.

**კაიზერის მოლოდინში.**

სტამბოლში ვილჰელმის მოლოდინში, ენვერ-ფაშამ განკარგულება გამოსცა, დიდების ბჭე ააგონ. ბერლინიდან მრავალი კინემატოგრაფის პატრონი გაემგზავრა სტამბოლს.

სანდო ცნობები მოვიდა, ვილჰელმი სტამბოლში სულთანის სასახლეში გამოაცხადებს მანიფესტს სრულიად მუსულმანთა მიმართ.

**პაშიჩის დეპეშა.**

პაშიჩი დეპეშით იტყობინება: მტერს თანდათან მკაცრი იერიშები მოაქვს. უკვე ნახევარ რკალსავით შემოგვერტყა. რკალი თანდათან ვიწროვდება. სერბეთის ჯარი მთაშავეთისა და ალბანეთისკენ იხევს. რაც შეიძლება სწრაფი შველაა საჭირო, სწრაფი და მრავალ-რიცხოვანი ჯარითაო. ფიქრობენ, მონასტირის დაცემა მალე მოხდებაო. ბულგართა ცნობით ფრანგებს მდ. ჩერის იქით დაუხევიათ.

**დარდანელის ოპერაცია.**

მოკავშირეებმა სასტიკი იერიშები მიიტანეს ოსმალთა მარცხენა ფრთაზე. 8,000 ყუმბარა ისროლეს ზარბაზნიდან. მიუხედავად ამისა, იერიშმა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო და ოსმალებმა უკუაგდეს ძველს პოზიციებისკენ.

**რუსეთის ფრონტზე**

**რიგას მახლობლად.**

ამ უკანასკნელ დღეებში რიგას კვლავ აზანზარებს იქსკიულის ფრონტის კანონადა. ამ მიდამოებში გერმანელების არტილერია ამ ბოლო ხანებში დვინის მარჯვენა ნაპირზე ძალიან შორს სწვდება. ზოგი ყუმბარა დღეს ისეთ ადგილებზე ეცემა, სადაც ადრე ვერ აღწევდენ. სჩანს რომ იქსკიულის ბრძოლის პირზე გერმანელებმა შორსმსროლელი ზარბაზნები გამართეს.

**ბელგრადს ამაგრებენ.**

სერბეთს გერმანელები თუ რსკის მხრით უვლიან, ავსტრიელები კარადაგის დაჭერას ჰლამობენ. თავის მხრით ბოლგარელები ოპერაციას რადანის მწვერვალების აღებად ანვითარებენ. ამასობაში მეორე მხრით ბულგარები აღებულ პოზიციებსაც არ ივიწყებენ და ეხლავე თადარიგს შესდგომიან მათს გასამაგრებლად. ბულგარებმა ამ მიზნით შეამაგრეს ბელგრადი და მეტი სიმტკიცის დასაცველად მისსა და სოფიას შუა რკინის გზა გაიყვანეს.

### რუმინეთს უალერსებენ.

რუმინეთის ალერსში ეხლა ყველაა. გერმანეთის მთავრობა სცდილობს განსაკუთრებული განწყობილება დაუმტკიცოს მას. ამიტომ დაადგინა კიდეც რუმინეთს გამოუგზავნოს ჯერ კიდევ ომამდე შეკვეთილი 67 მანქანა.

### გამოქცეული სერბები.

კიევზე გამოიარეს სერბეთიდან გამოქცეულებმა. მათ რამდენიმე დღე დაუყვიათ რუმინეთში. ასწერენ საშინელს მდგომარეობას. რუმინეთს დიდი დახმარება გაუწევია მათთვის.

### გერმანეთში 20—45 წ. იწვევენ.

„gah de Lausanne"-ში მოთავსებული გერმანეთის რეიხსტაგის ახალი კანონი, რომლის ძალითაც ჯარში ჩასარიცხად უნდა გამოცხადდენ ყველა მამაკაცები 20—45 წლამდე. სამ მილიონამდე კაცია დაბარებული შესამოწმებლად. ამათგან 60 პროც. უვარგისათ სცნეს.

### ტისას აზრი.

„Lok. Anq."-ში მოთავსებულია უნგრეთის პრემიერის ტისას აზრი ზავის თაობაზე: ტისას უთქვამს, ზავის ჩამოგდება თუ ომის გაგრძელება ჩვენს მოპირდაპირეებზეა დამოკიდებული. ცენტრალ სახელმწიფოებთათვის ეს ომი თავიდანვე მოგერიებითი იყო. ჩვენ არასოდეს აგრესიული მიზანი არა გვქონია. ჩვენ მხოლოდ ჩვენი მერმისის უზრუნველსაყოფად ვილვწვით. რადგანაც თავდასხმა მოპირდაპირეებმა დაიწყეს, ზავზედაც პირველად იმათ უნდა დაილაპარაკონ.

სერბეთი ალბად დასუსტდება და დაპატარავდება, რომ მერმისში ავსტრო-უნგრეთისათვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდეს.

ინგლისის შესახებ უთქვამს: როგორც ბევრი რამ სხვა, ისე არც ინგლისის მუქარა გამართლდება, როდესაც სტამბოლის გზა მთლად განთავისუფლდება, ჩვენ ინგლისის მეტად მნიშვნელოვან ადგილებზე გავილაშქრებთ.

ბალკანეთის თაობაზე ტისას უთქვამს: „შარშან ჩვენი მთავარ-შტაბის უფროსმა კონრად ფონ-გეტცენდორფმა მკითხა, ბალკანეთში ჩვენს დიპლომატიას რა იმედები აქვსო? მე უპასუხე: თუ თქვენ რუსეთს დაამარცხებთ, ჩვენ ჩინებული დიპლომატები გამოვდგებით, თუ რუსები თქვენ დაგამარცხებენ, ჩვენ ვირები ვიქნებით მეთქი.

რუმინეთის თაობაზე ტისას უთქვამს: არა მჯერა, ვითომც რუმინეთი მოკავშირეებს მიემხროს, თუმცა არც იმისი იმედი მაქვს, რომ ჩვენ მოგვემხროსო.

## უკანასკნელი ფოსტა

### რიგის გარშემო.

გერმანელებს ლიბავის გზით დიდძალი სასროლი მასალა და ზარბაზნები მოუზიდნიათ რიგის მიდამოებში.

ჩარტორისკთან გერმანელები სცდილობენ რუსის ჯარი დააპანდონ, რომ მან ვერ შესძლოს სხვა ადგილებში ჯარის გადაყვანა.

### რუსეთი და რუმინეთი.

„დენ"-ის სიტყვით, რუსეთ-რუმინეთის წარმომადგენელნი რენში შეხვდნენ ერთმანეთს. ამბობენ საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხებში შეთანხმდნენო.

### მაკენზენი დარდანელში.

პარიზიდან ცნობაა, სერბეთის ასპარეზზე რომ საქმეს მოათავებს, მაკენზენი დარდანელში მომქმედ ჯარის უფროსად დაინიშნებაო.

### ჩინეთში.

„ნ. ვ." დიდ მნიშვნელობას აწერს იმ გარემოებას, რომ ჩინეთის მთავრობამ სამსახურში მიიწვია გერმანელთა სათადარიგო აფიცრები. ცზიანის თოფ-ხანის ინსპექტორად გენერალი რიუდინგერი მიიწვია. ამასთანავე ხმა გავრცელდა, ვითომც ამას წინად დატუსაღებული გინცე იაპონიაში მიდიოდა გერმანეთ-იაპონიის შესარიგებლადაო.

### ბულგარეთ-ავსტ.-გერმანელთა ჯარის შეერთება.

სერბეთში მყოფი რუსეთის დესპანი უარჰყოფს ცნობას, ვითომც სერბეთში ავსტ.-გერ.-ბულგარელთა ჯარები შეერთებულიყვნენ.

### საბერძნეთში.

„რ. ს." დეპეშით ატყობინებენ: საბერძნეთს მოკავშირეებმა, სხვათა შორის, მოსთხოვეს თავდებობა უნდა მოგვცე მოკავშირეთა ჯარის უზრუნველყოფისაო.

### ვ ა რ ნ ა შ ი.

ვარნიდან ჯარები გაიყვანეს. ყაზარმები და სასწავლებლები საავადმყოფოებად გადააქციეს, სადაც 20,000 დაჭრილია მოთავსებული.

### ბ ა ღ დ ა დ ი.

ოსმალებმა ბაღდადი დასტოვეს. ინგლისელები ბაღდადის მახლობლად დაბანაკდნენ, მაგრამ ძალით არა ჰსურთ მისი აღება, ელიან ქალაქი ნებაყოფლობით დაჰნებდეს. (ტ. ლ. დ.)

## ბრძოლის ველზე

ბრძოლის განსაკუთრებულ სიმძაფრეს გუშინდელი დეპეშა არსად არ აღნიშნავს.

მთავარი სტრატეგიულ პუნქტებზე მდგომარეობის უცვლელობამ და მოპირდაპირეთა თანაბარმა მედგრობამ, წვრილ-წვრილი ბრძოლა გააზშირა გრძელი ფრონტის სხვა და სხვა ადგილას. ეს რამდენი ხანია, რაც პატარ-პატარა შეტაკება და შებრძოლება რუსეთ-გერმანეთის ასპარეზის დამახასიათებელ მოვლენად გადაიქცა. ამ ეპიზოდიურ შეტაკებათა მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ვერ გასცილებია და მათ ასეთ თუ ისეთ დასრულებას საერთო ბრძოლის პირის მოხაზულობაში საყურადღებო ცვლილება ვერ შეუტანია. შეუძლებელია, სამხედრო ოპერაცია მხოლოდ ამაზედ ჩამოხურდავებულიყო და მოქმედების მთლიანობის ადგილი დაქუცმაცებას დაეჭირა. ეჭვი არაა, რომ ამ წვრილ-წვრილ შეტაკების დროს, რასაც მოპირდაპირის ყურადღების დაფანტვა უფრო აქვს მიზნად, ვიდრე სერიოზული რამ სამხედრო ოპერაცია, მზადდება მთავარი ძალა ყოველგვარ საჭირო მასალითურთ მიზანში ამოღებული დიდი სტრატეგიული პუნქტის ასაღებად.

როდესაც რუსეთ-გერმანეთის ფრონტის დღევანდელ ბრძოლის ხასიათს ითვალისწინებ, თანდათან რწმუნდები, რომ ყველაფერი მზად არის აქეთი სერიოზული შემოტევის დასაწყებად. ჯართა გადაჯგუფება-გადმოჯგუფება, არტილერიისა და ტყვია-ყუმბარების მომარაგება, ყველაფერი ეს დასრულებულია. ის, ვისაც ბრძოლის ინიციატივა ხელთა აქვს, უცდის, თუ როდის დადგება ხელსაყრელი ამინდი, რომელიც ჯარის მოძრაობას ამ ჭაობიან ადგილებში გაადვილებდეს. უკანასკნელი სიტყვა ბრძოლის გასაჩაღებლად ბუნება-ფაქტორს ეკუთვნის. მანამ კვლავინდებურათ წვრილ-წვრილი ბრძოლა და შეტაკება თუ მოხდება.

გუშინდელი დეპეშის ცნობით, ასეთი წვრილი შეტაკება მომხდარა კემერნთან, სადაც გერმანელებს—შემოტევა უცდიათ, მაგრამ იძულებულნი გამხდარან შეჩერებულიყვნენ. იქსკიულის მახლობლად, ბერზემიუნდესთან ბრძოლა არ შეწყვეტილა. სვენტენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით რუსებს რამდენიმეთ წინ წაუწევიათ. გუშინდელს დეპეშაში მოხსენებულია ბრძოლის ახალი პუნქტი სმორგონის რაიონი, რომლის შესახებ თვეზე მეტია არაფერი გვსმენია. აქ გერმანელებს საარტილერიო სროლა აუტეხიათ.

ასეთივე ახალ პუნქტად უნდა ჩაითვალოს სოფელი კომორა მდ. სტრუმენის მარჯვენა ნაპირას. ამ სოფელზე გერმანელებს იერიში მიუტანიათ, მაგრამ რუსებს უკუ უგდიათ.

სოფ. პოდჩერევიჩთან ბრძოლა არ შეწყვეტილა. იგი ბევრჯელ გადასულა ერთის ხელიდან მეორეს ხელში. გუშინდელი ბრძოლის ბოლოში იგი რუსების ხელში დარჩენილა.

გალიციაში სოფელ სემიკოვიცის რაიონში რუსებს იერიში მიუტანიათ გერმანელებზე. ზოგი მდ. სტრიპაში გადაუყრიათ, ზოგიც აუკუწიათ. სხვა ადგილას გალიციაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ბრძოლის პირზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**მ ე გ რ ი.**

## თბილისი, 14 გიორგობისთვე.

### რუსეთი და პოლონეთი.

რუსეთის შინაგან პოლიტიკის ერთ მთავარ საკითხად ეროვნული საკითხი უნდა ჩაითვალოს. ვისთვისაა საიდუმლო, რომ რუსეთის ხელმწიფების ქვეშ მოქცეულია მრავალი არა-რუსი ერი. ვინ არ იცის, რომ თითეული ამ ერთაგანი თავისი განსაკუთრებული მოწოდების მატარებელია, რომ თითეული თავისებურ წარსულშია შექმნილი; რომ თითეული თავისებური სულისა და კულტურის მემკვიდრეა. ესწრაფვის თავისებურ მომავლის განმტიცებას.

სახელმწიფოს გონიერი პოლიტიკა მოითხოვს, არ იბორკებოდეს ერის ამომავალი ძალების თავისუფალი განვითარება, არ იყოს შელახული უფლება ეროვნული თვით-პატრონობისა. გონიერი პოლიტიკა მოითხოვს, რომ ყველას მიეცეს თანასწორი უფლება ხელშეუხებელი ზრდისა და ტყუილ უბრალოდ არ იფლანგებოდეს ერთმანერთის საწინააღმდეგო დაუნდობელ ბრძოლაში არც სახელმწიფოს ძალა და არც არა-რუს ერის ენერგია. ორთავეს ინტერესი და შინაგანი სიმტკიცე მოითხოვს აბსოლუტურ ზავს, უანტოგონიზმობას, არა-რუსი ერის დამახასიათებელი უფლების სრულ თავდაცვის ნიადაგზე.

მშვიდობიანობის წიაღზე რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკამ ეს ჭეშმარიტება ვერ შეიგნო. ცხოვრების ნორმალ პირობებში რუსეთმა ვერ გადასჭრა შინაური პოლიტიკის ეს უმთავრესი საკითხი.

გაუგებარი პარადოქსის ძალით, დრომოჭმულობა და მოცალეობა, რომელიც შინაურ პოლიტიკურ შემოქმედებისათვის მეტ შანსებს იძლეოდა, პოლიტიკურ დაძაბუნებისა და გონება-დახშულობის წყაროდ იყო გადაქცეული.

პირიქით, ქვეყნის განსაცდელის დრომ, როდესაც რუსეთის მთელი ენერგია და ყურადღება ძლევა-მოსილ მტერთან გამკლავებამ შეილია, როდესაც შინაურ საკითხებისათვის არც ფიქრი შეეძლო სახელმწიფოს და არც მოცალეობა ჰქონდა, სწორედ ასეთმა დრომ შესთხზა იმ პოლიტიკურ სიმფონიის უვერტურა, რომელსაც ეწოდება ერთა თავისუფლება.

ეს თავისუფლება რუსეთში პირველად ერგო პოლონეთს. ვიცით, თუ რა საფეხურები განვლო ამ თავისუფლების დაკანონებამ. ჯერ იყო და სრულიად რუსეთის მთავარ სარდლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის—აწ კავკასიის მეფისნაცვლის—ბაგით აღეთქვა პოლონეთის ხალხს მისი ეროვნული უფლების აღდგენა. შემდეგ რუსეთის პრემიერმა გორემიკინმა, 20 ივლისის ისტორიულ სხდომაზე, სათათბიროს ტრიბუნიდან აუწყა ქვეყანას პოლონელი ხალხისადმი პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების დიდი პოლიტიკური აქტი. ამ დღეს **რუსეთში ოფიციალად** პირველად იცნეს არა-რუსი ერის უფლება, მისი აღდგენა და ხელშეუხებლობა. რუსეთის მატიანეში 20 ივლისი პოლიტიკა-ეროვნული ნავსის გატეხის დღეა. განსაკუთრებით მეტყველია ეს აქტი სწორედ იმ გარემოების ძალით, რომ იგი შეიქმნა არა ჩვეულებრივ დროსა და გარემოში, რომ მის შემოქმედებაში უცხოთა ნებისყოფას რუსეთის მთავრობის სუბექტიურ ნებისყოფაზე ნაკლები როლი არ უთამაშნია.

საფრანგეთი, ინგლისი და თვით გერმანეთის ჯარიც მონაწილეა ამ აქტისა. მეორეს მხრით, აღსანიშნავია რომ რუსეთის მხრივ შემოქმედებითი წვლილი ამ აქტში შეიტანა მარტოოდენ ოფიციალმა რუსეთმა. საზოგადოებრივი რუსეთი-კი ერთი უინიციატივო მიმყოლი იყო და სხვა არაფერი.

თავის ისტორიულ ტრადიციისთვის არც ამ განსაკუთრებულ დროს და პირობებში უღალატნია რუსეთის მოწინავე პრესას და ინტელიგენციას. ეს გარემოება სიმპტომატიურად ჩასთავალა პოლონეთის მოწინავე საზოგადოებამ და ამ უკანასკნელ დროში იგი შეეცადა სიტყვა ჩამოერთვა საზოგადოებრივ რუსეთისათვის. პოლონეთის საკითხი რუსულ გაზეთების ფურცლებს ეს რამოდენიმე დღეა არ განშორებია. გამოირკვა რომ არა-ოფიციალი, მოწინავე რუსეთი იზიარებს მთავრობის აზრს ოცი ივლისის აქტის სახით. ზოგი რუსი, მაგ. თავადი ტრუბეცკოი უფრო შორს წავიდა. მან შესაძლებლად დაინახა, რომ პოლონეთის ერს მიენიჭებოდეს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ ნაირად პოლონეთს ორი დიდი საბუთი უჭირავს ხელში, ერთი ოფიციალი რუსეთის ოცი ივლისის აქტი და მეორე არა-ოფიციალი რუსეთის საქვეყნო დეკლარაცია. ასეთ პირობებში პოლონეთისა და რუსეთის ურთიერთობა გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. პოლონეთის ეროვნული უფლება აღდგენილ იქმნა და იგი ხელშეუხებელი დარჩება რუსეთის სახელმწიფოში. ამ ერთი არა-რუსი ერისა და რუსეთის სახელმწიფოს ურთიერთობა მოგვარდა ამ არა-რუსთ ერის ეროვნულ უფლების შეწყნარების ნიადაგზე. მათ შორის მოისპო ნიადაგი ერთიმეორის ძალის გაბათილებისა. ამით ორივე მოგებული დარჩება.

## ნარკვევი

ზავის თაობაზე უცხოეთის გაზეთებმა თანდათან უფრო მოუხშირეს წერას. განსაკუთრებით ბევრი იწერება გერმანულ გაზეთებში. მაგრამ რა პირობებით შეუძლიან გერმანიას ზავზე დათანხმება? ამ საკითხს ეხება „Journal desdebats" და ამბობს:

„იმ ნეიტრალ სახელმწიფოთა აზრით, რომელიც ზავზე მოლაპარაკების დროს თვალსაჩინო შუაკაცობას გასწევენ, გერმანეთი შემდეგი პირობებით დათანხმდება ზავის ჩამოგდებაზე.

გერმანეთი დასტოვებს საფრანგეთსა და ბელგიის მიწა-წყალს, თუ 6 მილიარდ კონტრიბუციას გადაიხდიან. რუსეთი ხოლო უნდა გამოეთხოვოს პოლონეთის გუბერნიებს, რომლებიც ავსტრო-გერმანეთის პოლონეთის ნაწილებთან ერთს მთლიანს ოლქად იქცევა, რომლის მართველობის ფორმა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. გერმანეთი დასცლის დანარჩენ აღებულ ადგილებს, თუ 2 მილიარდ მან. კონტრიბუციაო მიიღებს. სერბეთის დამოუკიდებლობა აღდგენილ იქმნება, თუმცა ბულგარეთს დაუთმობს მაკედონიას და ავსტრ-უნგრეთის ფინანს.-ეკო-

## ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული)

(შემდეგი *)

II

მთელი კულტურა, მთელი მსოფლმხედველობა ქართველებისა ატარებს ქალურს ხასიათს. ამაღლების შემდეგ მოციქულნი შეიკრიბებიან ეროად და წილს იყრიან, ვის რომელი მხარე ერგება საქადაგებლად. ღვთის მშობელს წილად ჰხვდება საქართველოში ქადაგება. ის ის იყო უბიწო დედა უნდა წამოსულიყო საქართველოსკენ, რომ ქრისტე გამოეცხადება და უბრძანებს თავის მაგიერ გაჰგზავნოს ანდრია პირველ წოდებული. ამნაირად, იმავე თავიდან ვხედავთ, რომ საქართველო ქრისტიანობის ნათელს იღებს განსაკუთრებული სახით, ღვთისმშობლის ერთგვარ მფარველობის ქვეშ.

შემდეგში უფრო საოცარს მოვლენას ვხედავთ. იმ დროს, როდესაც ქვეყანას და თვით საქართველოს მოსაზღვრე მხარეებში მამაკაცები მიემართებიან ქრისტიანობის საქადაგებლად, როგორც, მაგალითად, წმ. გრიგოლი განმანათლებელი, წ. თომა და სხვები, საქართველოს ნათელსა სცემს კაბადუკიიდან მოსული ასული წმ. ნინო. თქმა არ უნდა, აქ ჩვენ არ შეგვიძლიან ასლი ასლად დავუჯეროთ სათნო ავტორთა ნახევარ ლეგენდალურ გადმოცემას ამ წმიდანის შესახებ, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებოა ეს კეკლუცი თქმულება, თუ უცნობი, შორეული ქვეყნის შვილი როგორ აიღებს ჯვარს, საკუთარ თმით შეჰმოსავს მას და მოეშურება რელიგიურის ალტაცებით. ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია, უაღრესად საგულისხმიეროა. ხალხური აზრი ამ თქმულებისა საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ნიშნობლივია როგორც სიმბოლო ქალის გამარჯვებისა ამავე მამაკაცზე. სწორედ ამიტომაა, რომ თვით მეფე მირიანი, ლეგენდის თქმულების თანახმად ეს ტიპიური ტლანქი წარმართი, მოქცევისთვის შესძახებს: „სადაა ნინო ჩვენი საყოველთაო დედა!" და შედის წმიდნის ღარიბ ქოხში, მუხლს იყრის ნინოს ჯვარის წინ და ათრთოლებით შეჰნიშნავს: „ეხლა კი ღირსი ვარ შენი ღმერთისა და მაცხოვრის მონად ვიწოდებოდეო".

საქართველოს გმირ ქალად, ამ ღვთის მშობლის სამფლობელოში, სადაც წმიდა ნინო დაამყნობს ქრისტიანობას, გამოდის მესამე ქალი, თამარ დედოფალი.

არ ვიცი, კიდევ საჭიროა თუ არა ზედმეტი სიტყვა დაიხარჯოს იმ უდიდეს მნიშვნელობის აღსანიშნავად, რაიც ამ გმირ ქალს ჰქონდა ქართველთა ეროვნულ ფსიხოლოგიის განსამტკიცებლად! სპარსეთში გმირად (შიიტთა შორის) ჩვეულებრივ ასახელებენ ალის, მეოთხე ხალიფს, მაჰმადის მახლობელ ნათესავს. შიიტიზმის მთავარი შინაარსი ის გახლავთ, რომ ამის მიმდევმრთ სჯერათ ალის გაღმერთება. მათ სწამთ, რომ მის შთამომავლობიდან იშვება მაჰმადიანთა მხსნელი მესსია—მაჰმადი.

საქართველო სპარსეთის მომიჯნე ქვეყანაა. ამიტომ თამარ დედოფლის ასეთი გაღმერთების კულტი შეუძლებელია ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ მისი მეფობა მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და მისი კულტურის უმაღლეს გაფურჩქვნის დროს.

თამარ დედოფლის კულტი ქართველთა სხვა და სხვა ტომში სულ სხვა და სხვა სახით დახასიათდა, სხვა და სხვა გვარი ფერადებით. იმ დროს, როდესაც ქართლში მას სთვლიან როგორც უდიდეს დედოფლად, სვანეთში იგი ერთგვარ ფერიათა დედოფლის სახეს იღებს. ხევსურელთ შორის კიდევ თამარ დედოფალი ნამდვილი ღმერთ-თანასწორი დედოფალია და წმ. გიორგის გვერდით უკავია ადგილი. მიუხედავად ამ მრავალფეროვან სხვა და სხვაობისა არსად ქართველები თამარს თაყვანს მარტო იმისთვის არა სცემენ, რომ იგი უბედნიერესი ბრძანებელი და უძლიერესი ხელმწიფეთაგანი იყო. ხალხი მასში ჰხედავს უაღრესად აღმშენებელს, თლილი ქვის შენობათა ამგებელს, ციხე-ქალაქების განმტკიცებელს ქართველი ხალხის დასაფარავად. აი ამითი აიხსნება, რომ თითქმის ყველა უძველესი შენობანი მიაწერეს მას, უფლისციხიდან მოყოლებული და დარიალის ხეობამდე.*)

ამ ღირსების გარდა ქართველი ხალხი ამ ეროვნულ გმირ ქალში სათაყვანო სხვა თვისებასაც ჰხედავდა. ასე მაგალითად, მთიულები მას წმინდანად სთვლიან, როგორც მკურნალს ათასგვარ სნეულებათაგან. ამიტომ მისთვის შემოუღიათ სხვა და სხვა გვარი პატივისა და თაყვანისცემის წეს-რიგი. მეორე მხრით თამარ დედოფალს სთვლიან როგორც მოწყალებისა და სათნოების განხორციელებას. მრავალ ლეგენდათა შორის ჩახლართულია ერთი ფრიად საინტერესო, რომლის გახსენება ყოველთვის სიამეს მოჰგვრის ადამიანს.

ერთხელ თამარიო,—ამბობს ლეგენდა,—ბრწყინვალე დღესასწაულში, გელათის ტაძარში წირვაზედ დასასწრებლად ირთვებოდა. ამ დროს მას აუწყებენ, ვინმე გლახა მოეიდა და მოწყალებას ითხოვსო. დედოფალს არ ეცალა. თავზე ჯიღას იდგამდა და ძვირფას სამკაულით იქარგავდა გულმკერდს. როდესაც მოკაზმულობა გათავდა და კარზე მოწყალების გასაცემად გავიდა, მთხოვარა აღარ დაჰხვდა. ამ ამბვით სათნო დედოფალი იმდენად შესწუხდება, რომ ტაძარში მისვლისას სწრაფად მოიხსნის გვირგვინს, ძვირფას თვლების სამკაულს და ღვთისმშობლის ხატს შესწირავს, როგორც მიზეზს თავის შეცდომისას, რომ გლახა დაუსაჩუქრებელი გაუშვა.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი თამარს აღმერთებს არა მარტო მის ძლევამოსილებისთვის, არამედ უფრო მისი ქველობისთვის, სათნოებისა გამო, იმიტომ, რომ იგი უაღრესად მზრუნველი იყო თავის ხალხის, გამკითხი და ყოვლად მოწყალე.

საოცარია, რომ დედოფლის დროის მგოსნები ხოტბას შეასხამენ მას არა მარტო როგორც უძლეველ დედოფალს, მბრძანებელს, არამედ როგორც მომხიბვლელ არსებას, რომელიც უსაზღვროდ სავსეა ქრისტიანული სათნოებითა. შოთა რუსთველი, რომელმაც ამ სათაყვანებელ დედოფლის შესაქებად დასწერა უკვდავი პოემა და რამდენიმე ხოტბა, რასაც პროფ. მარის აზრით, სხვა მწერლებს აწერენ ჩვეულებრივ ჩახრუხაძეს, —თითქმის განსაკუთრებით მის თვალის მომჭრელ სილამაზის ქებაშია. აი, სხვათაშორის რა მარგალიტებს აბნევს პოემის შესავალში:

„თამარს ვაქებდეთ, მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დათხეული.
ვთქვენი ქებანი ვისნიმე,
არ ავად ამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა—
და კალმად მინა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვის
ლახვარი გულსა ხეული"...*)
„მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა.
თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა, თლილისა,
მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა..."

თითქმის ასეთივე სახით აღწერენ თამარის სილამაზეს მეხოტბენი. თვითეული ხოტბა ერთგვარი ჩანჩქერია. მეტაფორთა ალმასობა, ხოტბის სტროფათა მრავალფეროვანი ზომა, ალის მგზნებარე ფერადები, ბიბლია, სპარსული ეპოსი, ბერძენთა ბუმბერაზი სიბრძნე დედოფლის სახოტბო დითირამბის სურნელოვანებით იკმევა.

თამარის მეხოტბენი გასაოცარ ჰიპერბოლებით ხელმძღვანელობენ. ყოველი არსი, მეხოტბეთა აზრით, თამარს მზეთა სთვლიან, შვიდი თანა მევარსკლავენი ქებას ვერ ჰკადრებენ, რაკიღა პლატონის ენა და დავითის ქნარი არა აქვთო. საგულისხმიეროა, რომ „ვეფხის ტყაოსანშიაც" და ხოტბებშიაც სადაც მგოსანს ჰსურს ქება შეასხას თამარის ძლიერებას და დიდებას, განგებ მის ქმრის დავით სოსლანისკენ მოჰმართავენ ხოლმე ქნარს. მაგალითად, შოთა რუსთაველი ასე ახასიათებს დავითს:

„ვის შვენის ლომსა ხმარება
შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა, მზის თამარისა,
ლაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისა,—
მას, არა ვიცი, შევკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა,—
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა
მირთმა ჰხამს, მართ მშიერისა!"

ასეთსავე საწინააღმდეგო დახასიათებას ვხედავთ ხოტბათა ტაეპებში, როდესაც თამარის თვისებათ დავითისას დაუპირდაპირებენ ხოლმე. ციური სუნთქვა, ნარნარება, ქალობრივი სიტურფე და ცისკროვნება უმალ იცვლება ახოვანებად, რომლის მახვილიც არა ნაკლებ მარჯვეა.

თამარის საიდეალო სურათი დაგვიტოვა მეორე მეხოტბემც, შავთელმა. ეს ხოტბა რამდენიმე ნაწილად იყოფა. თვითეული ნაწილი შეიცავს თამარის სათნოებათა სხვა და სხვა დარგს. სახელოვან დედოფლის სახელს რაღაი ხოტბა ეძირვება, როდესაც იგი უამისოდაც ჰქუხს ჩინეთიდან მოყოლებული ეგვიპტე, კრიტოსამდეო. აუწერელი სილამაზე, სიბრძნე, სათნოება, განათლების მოტრფიალე, აი ყველა ის ძირითადი ღირსება, რომლითაც მომადლებულია თამარი და რისთვისაც იბრძვის, რისთვისაც ათმევს თავის ხალხს და სისხლს აღვრევინებს.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის სრულიადაც სავალდებულო არ არის სიტყვით სიტყვამდე მივიღოთ მეხოტბეთა მაღალ ფარდოვანი დახასიათება. მარტო მდგომარეობა მათი უკარნახებდა მათ ასე მოქცეულიყვნენ და ცამდე აემაღლებინათ თავიანთ მბრძანებელი. მაგრამ თუ გავიხსენებთ ხალხში გავრცელებულ ლეგენდებს, მის გარშემო შეთხზულ ლექსებს და ამბებს, თუ არ დავივიწყებთ რომ დღესაც ასე თაყვანს სცემს მას ქართველი ერი, მაშინ დავრწმუნდებით კიდეც, რომ თამარი ტყვილა უბრალოდ არ ყოფილა ქართველი ერის საამაყო ეროვნული გმირი. აი, ამ დიად ღირსებათა გამო ათაყვანებდნენ მას როგორც მისი მეხოტბენი, ისე ქართველთა ყოველი ტომი და არა მარტო იმიტომ, რომ მის სკიპტრის ქვეშ საქართველომ მიაღწია უმწვერვალეს სიძლიერეს და საქართველოს საზღვრებიც მანამდე უნახავ სიშორეზე გაფართოვდა. აი ამიტომაცაა რომ ქართველმა ხალხმა მის განსპეტაკებულ თვისებათა გამო გაჰხადა იგი თივისის მერმისის და საუკეთესო იდეალების განხორციელებად. ქართველი ხალხი ეთაყვანება მას, როგორც **საიდეალო ქალს**, როგორც ბერძნები ეთაყვანებოდნენ ჰერკულესს, თეზეოს და სხვა ნახევარ ღმერთებს, როგორც „საიდეალო ვაჟკაცებს".

(შემდეგი იქნება)

**ვ. გურკო.**

*) იხ. „საქართველო" № 141, 142.

*) ავტორმა ფარგალი შეავიწროვა. „უფლისციხე" და „დარიალის ხეობა" მეტად პატარა კუთხეა იმასთან შედარებით, რაც ეპყრა თამარის სამეფოს რუკას.

**რედაქცია.**

*) ის ცნობილი ტაეპი, როგორც კეკლუცი მუსიკოსა. ისე გაისმის ქართულს ენაზე. ვ. გურკოს ეს ტაეპი ასეთი სახით აქვს მოყვანილი: „Царицу Тамару воспоем, проливая кровавыя слезы (тоски); въ честь ея у меня сложены пѣсни, недурно онѣ выбраны: чернилами мнѣ служили гишеревыя озера (т. е. ея глаза); пером колеблющійся тростник (т. е. ея гибкая талья). Копье, вонзившись, раздерет сердце того, кто услыщит тѣ пѣсни"... თარგმნის მუსიკოსის კომენტარიაზე მეტი იქნება ლაპარაკი...

**რედაქცია.**

ნომიურ გავლენას დაუქვემდებარდება. რუმინიას მიემატება ბესარაბია, ხოლო სამაგიეროდ იგი ბულგარეთს დაუბრუნებს 1913 წელს წართმეულ ოთხკუთხედს. ოსმალეთს მიეცემა რუსეთის სომხეთი. საბერძნეთი მიიღებს სადაო კუნძულებს და ალბანეთის ნაწილს, ხოლო იგი ავსტრო-უნგრეთს სალონიკის გზით ეგეის ზღვაში თავისუფალ მიმოსვლის ნებას მისცემს. ინგლისი ჩამორთმეულ ახალშენებს დაუბრუნებს და დასთანხმდება, რომ ბელგიისა და პორტუგალიის ახალშენები შუაზე გაიყონ.“

## პრესა

მ. მენშიკოვი სწერს გაზ. „ნოვოე ვრემია“-ში.

„თანამედროვე ომი არ არის ჩვეულებრივი ომი, არამედ რაღაც განსაკუთრებითი, როგორც ბუნებრივობით, ისე თავისი შედეგებით. ამ **ომს** არსებით სახელს, სულ უნდა დასდევდეს ზედშესრული სახელიც: —**ომი მანქანური**, აი რა სახელწოდება აქვს დღევანდელ ომს. ამისთვის, ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, როდესაც თანამედროვე მანქანებს ომისას ვადარებთ ძველებურ ბრძოლის ძალღონეს;—დივიზიებს და ხმალთა და ხიშტების რიცხვს. მათი ღონე შეირყა, მათ დაემართათ მოულოდნელი დევალვაცია, ისე როგორც ქაღალდის ფულს. არ უნდა გვავიწყდებოდეს ის, რომ ძველებურ ყაიდით შეიარაღებულ დივიზიას, ადვილად დასძლევს ერთი პოლკი, თანამედროვე ბრძოლის მანქანებით როგორც ავტომატიური თოფებით, მფრინავი ტყვიისმტყორცნელებისით, თანამედროვე ავტომობილებით, ყუმბარის მფრქვეველებით და მახრჩობელა ბოლით. მანქანურ ომში ადამიანს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და პირველ წრეზე გამოდის, მუნჯი—ყრუ, უგრძნობი და უაზრო მანქანა, მომსპობი ყველა რეკორდებისა. დღეს ომის დასრული დამოკიდებულია მხოლოდ ამ მანქანების რიცხვზე და მათს ხმარებაზე, რადგანაც დანარჩენი ელემენტები გამარჯვებისა—გმირობა და თავგანწირულობა ნათლად სჩანს როგორც ჩვენში, ისე მტრისაში, რასაც რასაკვირველია, ერთგვარი ბრწყინვალე შედეგი არა აქვს.

ასეა დღეს... სიჩაუქე და ხმალის წკრიალი, ველარ შეამკობს გმირის შუბლს—დაფნა გვირგვინებით.

იგივე მენშიკოვი, გერმანელთა იარაღის „ბერტა“-ს შესახებ სწერს:

არავის არ ეგონა თუ ბრძოლის ველზე შეიძლებოდა იმნაირ იარაღის ხმარება, როგორიც არის „ბერტა“. მარტო მისი გადატანისთვის საჭიროა თორმეტი პლათფორმა, მისი დადგმისთვის (საჭიროა აგრეთვე მისთვის მიწის ამოთხრა თორმეტ ალაბის სირღმეზედ) საჭიროა 30 საათი დრო—დამიზნება მოითხოვს ნახევარს დღეს გატენის შემდეგ მისი მოსამსახურენი გარბიან 150 ალაბის მანძილზედ. იფარებენ სახეზე და მუცელზე წვებიან მისი გასროლის დროს ხე ხმება და შიშვლდება, ხოლო რამდენიმე ვერსის მანძილზე იბზარება მიწა. მისი გასროლა ჰღირს რამდენიმე ათი ათასი მანეთი.

---

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქმნება სურათი ვალ. ერისთავისა: „დედის ნუგეში“, პოემა: „ლეილ-მიჯნუნიანი“, თარგმნილი მეფე თეიმურაზ პირველის მიერ, ლექსები: კნ. ნინო ორბელიანისა, ხანდრო შანშიაშვილისა, ილია მოსაშვილისა, გ. ლეონიძისა, გ. უიშვილისა და სხვათა. ემილ-ზოლას მოთხრობა: ბ-ნ შაბრის ლოკოკინები, თარგმანი დ. კ-ძისა, ესკიზი „არწივი“ ვიქ. მირზაშვილისა, რაბინდრანათ თაგორიდან და სხ.; და სამი კარიკატურა დღიურ ყბად აღებ და წყალწაღებ მოვლენებზე.**

---

## ახალი ამბავი

**მეფის ნაცვლის სასახლეში.** 13 გიორგობისთვეს, 12 საათზე, მეფის ნაცვლის სასახლეში წარუდგნენ: სოხუმის ქალაქის მოურავი თავ. ნ. ყ. თავდგირიძე და სოხუმის ქალაქის ხმოსნები ვ. ვ. მარკოვი და მ. ლ. ტომარა და მოახსენეს სოხუმის ოლქის საჭიროებანი. მთავარმა დიდის ყურადღებით მოუსმინა და დახმარება აღუთქვა.

◆ **უმაღლესი სტუმრები მცხეთაში.** 12 გიორგობისთვეს. **მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, უავგუსტოესი მეუღლე მისი,** დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული, დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე, უავგუსტოესი მეუღლე მისი მილიცა ნიკოლოზის ასული და ამ უკანასკნელთა უავგუსტოესი ძენი და ასულნი ბრძანდებოდნენ მცხეთაში. უმაღლეს სტუმართ თან ახლდნენ: გოფმეისტერი პეტერსონი, თბილისის გუბერნატორი ბ-ნი სტრახოვსკი, მორიგე ადიუტანტი და ამალა. ნაშუადღევის 3 საათზე უმაღლესი სტუმარნი მიბრძანდნენ მცხეთის ტაძარში, რომლის კარებთანაც მათ უმაღლესობას დაუხვდნენ თბილისის გუბ. თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ი. ნიჟარაძე, დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. მუხრან-ბატონი, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ქობულაშვილი და სხვანი. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი სიტყვით მიმართა მისს უმაღლესობას დიდს მთავარს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს: „ბედნიერად ვრაცხთ ჩვენს თავს მივესალმოთ თქვენს იმპარატორებითი უმაღლესობას ბას ისტორიულ საქართველოს უძველეს წმიდა ძეგლთან“. გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ სამღვდელოების თანამსახურებით გადაიხადა მცირე პარაკლისი ქართულად. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ და დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ გვირგვინები დაადვეს გმირულად გარდაცვლილ თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის საფლავს. ამის შემდეგ უმაღლესმა სტუმრებმა დაათვალიერეს ტაძარი. განმარტებას აძლევდა ეპისკოპოსი ანტონი. დათვალიერების შემდეგ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ გარდასცა ეპისკოპოსს ანტონის თავისი წვლილი 1.000 მანეთი ტაძრის განახლების სასარგებლოდ. ტაძრიდან უმაღლესი სტუმარნი დაბრუნდნენ მეჭურჭლეობის სკოლის სახელოსნოში, რომელიც გულდასმით დაათვალიერეს და რამდენიმე ნივთი შეიძინეს. შემდეგ უმაღლესი სტუმრები ამალითურთ თბილისს დაბრუნდნენ.

◆ **თავ. ჩოლოყაშვილის დაბრუნება.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პეტროგრადს იყო წასული უკვე დაბრუნდა თბილისში და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **ბაქოს დამხმარე კომიტეტისაგან** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო 2.000 მანეთი ომიანობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

◆ **აჭარლების საქმე.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით ბათომს მიემგზავრება ვექილი ნ. ი. ქარცივაძე. იმ 73 აჭარელის საქმის გასაცნობად, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ და პასუხისგებაში არიან მიცემული.

◆ **ჯარში გასაწვევთა შეღავათი.** მთავარ შტაბის სამმართველომ გამოაცხადა, რომ შესაფერისად არის აღიარებული, 1916 წ. 1 იანვრამდე ჯარში გასვლის ვადა გაუგრძელდეთ იმ ლურჯ-ბილეთიანებს (მეორე ხარისხის მოლაშქრენი), ვინც მსახურობს აფთიაქებში, ბითუმად მოვაჭრე საავთიაქო საწყობებში, რთულ საფარმაცევტო პრეპარატების დამმზადებელ სამრეწველოში, ლაბორატორიებსა და ქარხნების ქიმიურ განყოფილებაში, (ფარმაციის მაგისტრებს, პროვიზორებს, მათ თანაშემწეებს და მუშა-სპეციალისტებს). ეს უფლება არა ვრცელდება იმ ლურჯ ბილეთიანებზე, ვინც გაწვევის დღეს 25 წლისაზე ნაკლებია, აგრეთვე არ ეხება აფთიაქის შეგირდებს და შავ მუშებს. აფთიაქისა, ლაბორატორიისა და ზემოხსენებულთა პატრონებმა ვადის გადადებისათვის შუამდგომლობას უნდა წარუმძღვარონ მსახურთა სია მთავარ სამკურნალო სამმართველოსი. საბოლოო საკითხის გადაწყვეტა დადასტურდება ამ სიების განხილვის შემდეგ თანახმად სამხედრო ბევრის დებულებათა 1912 წ. მე-283 მუხლისა.

◆ **ომში გაწვეულთა ოჯახების ბინის ფული.** თუ ომში გაყვანილი შვილის დედას ჰსურს ბინის ფული მიიღოს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ სანამ მისი შვილი ომში წავიდოდა, დედა მასთან სცხოვრობდა. ეს უნდა დაამოწმოს პოლიციამ, ხოლო სადაც საზოგადო პოლიცია არა არსებობს, სამხედრო მთავრობამ. თუ გამოირკვა რომ უწყებული ბინის ფული ომში წასულის ნათესავებს მიუღიათ უკანონო გზით, სამხედრო მოხელენი, შტაბი, სამმართველო თუ სხვა დაწესებულება ვალდებულნი არიან შეაჩერონ ფულის ძლევა. ეს განმარტება გამოსცა მთავარმა შტაბმა წელს 17 სექტემბერს № 122.

◆ **ომიანობის გამო დაზარალებულნი.** გამოქცეულთა სვე-ბედზე მზრუნველი საგანგებო საბჭო განაგრძობს იმ პროექტის განხილვას, რომლითაც ომის საჭიროებისათვის ჩამორთმეული თუ გაფუჭებულ სურსათ-სანოვაგისა თუ სხვა რისიმეს საფასური პატრონს უნდა აუნაზღაუროს ხაზინამ. თათბირის აზრით დაზარალებულს, წერილობითი საბუთის (სარეკვიზიციო ბარათის) გარდა, შეუძლიან მოწმეთა ჩვენებითაც ისარგებლოს.

◆ **სასურსათო საკითხი ზაქათალაში.** ზაქათალის ოლქის უფროსი თბილისის პოლიცმეისტერს სთხოვს, შემაძლებინეთ მცხოვრებთათვის ფქვილი შევიძინოთო. ამასთანავე იტყობინება, ჩვენმა წარმომადგენელმა 50 ტომარა ფქვილი შეიძინა თბილისში, მაგრამ თბილისის პოლიციამ ჩამოართვაო. პოლიცმეისტერმა ეს შუამდგომლობა თბილისის ქალაქის გამგეობას გადასცა.

◆ **ღვინის აქციზი.** ფინანსთა მინისტრის განკარგულებით 30 ნოემბრიდან წესდება აქციზი ყურძნისა და ხილეულის ღვინოზე, ვედრაზე რვა აბაზი. შუშხუნა და ქიშმიშის ღვინოზე ვედრაზე 4 მ. 80 კ. აქციზისაგან განთავისუფლებულია შინ დამზადებული, სახლშივე მოსახმარი ღვინო და აგრეთვე ეკლესიებისა და მონასტრებისათვის საჭირო საწირავე ღვინოები. აქციზი არ გადაჰხდებათ აგრეთვე იმ გუბერნიის სოფლებში, სადაც მევენახეობას მისდევენ.

◆ **სამკურნალო ადგილების დასახმარებელ** და განსავითარებელ კავკასიის საზოგადოების კრება 11 გიორგობისთვეს შესდგა სენატორ ნ. ლ. პეტერსონის თავმჯდომარეობით. ამ საზოგადოების წევრმა გ. ფ. ჩურსინმა წაიკითხა მოხსენება თავის მოგზაურობის შესახებ გოქჩის ტბის მხარისაკენ, სადაც დაუთვალიერებია ყველა მინერალური—წყლის ადგილები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ს. ნიკიტინა, გუმბრის მაზრისა, 18 ვერსზე კარაკლისიდან. შემდეგ ამისა საზოგადოების წევრმა გ. მ. სმირნოვმა წაიკითხა თავისი გეოლოგიური გამოკვლევანი ამავე ადგილზე. დასასრულ ი. ა. გლოტოვმა წაიკითხა მინერალურ და სამკურნალო ადგილებზე ბორჯომ ახალციხე-აბასთუმანზე. მოიხსენია მათი არა სასიამოვნო ყოფა მდგომარეობა და მათი მოუწესრიგებლობა სასანიტარო-ჰიგიენის მხრივ და ამასთან ერთად მიმოსვლის უვარგისობისა. არ არის ბინები, სასტუმროები, ცხოვრება ერთობ გაძვირებულია და ამიტომ ფართე საზოგადოება უფრთხის ამ შესანიშნავ საკურორტო-სამკურნალო ადგილებსაო. თავისი მოხსენება ბ-ნ გლოტოვმა ბუნდოვან სურათებით და დიოგრამებით დაასურათხატა. კრებამ დაადგინა ყველა ეს სურვილები და ზომები, რომელიც ამ კრებაზე იყო გამოთქმული მომავალ საზოგადო კრებას მოხსენდეს.

◆ **სახალხო განათლების** მოღვაწეთა კრებაზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა შესდგეს მოსკოვში, მიწვეულია თბილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების წარმომადგენელიც, საზოგადოებამ სურვილი განაცხადა კრებაზე ორი წარმომადგენელი გაგზავნოს.

**ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში.** მდივანი ამავე საზოგადოებისა ვ. ი. რცხილაძე ამ დღეებში მიემგზავრება საგარეჯოს სადაც უნდა დაათვალიეროს საცდელ მინდვრების ქვეშ იჯარით აღებული მიწები.

◆ **სახელმწიფო ბანკის** შემნახველ-კასაში შემოსავალი ყოფილა გიორგობისთვის განმავლობაში 692.550 მან., ფასიან ქაღალდებით 83500 მან. გასავალი ნაღდ ფულად 497869 მან. ფასიან ქაღალდებით 35700 მან. ფოსტის კანტორებში შემოსავალი 260506 მან. ფასიან ქაღალდით 5800 მან. გასავალი 164198 მან. ფასიან ქაღალით 4000 მან. 1 გიორგობისთვისათვის ცენტრალურ კასაშია 9.854.030 მან. 90 კაპ. ფასიანი ქაღალდი 3157462 მ. 50 კაპ. საფოსტო კანტორებში ფულად 2.870.724 მან. 39 კაპ ფასიან ქაღალდით 455050 მანეთი.

◆ **საჯარო ვაჭრობა მამულებისა.** თბილ. სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში დანიშნულია 28 დეკემბერს ქ. თბილისის მამულებისა, მაზრის ქალაქებისა 30 დეკემბერს, ხოლო სოფლისა 2 იანვარს. ქუთაისის ბანკისა, ქალაქის მამულებისა, თბილისის გუბერნიისა და ყარსის ოლქისა, 3 დეკემბერს, განმეორებითი ვაჭრობა 18 დეკემბერს. ქუთაისის გუბ. მამულებზე 7 დეკემბერს, ხოლო განმეორებითი 22 დეკემბერს. მაზრის ქალაქებისა და დაბებისა ქუთაისის გუბ. ბათომის ოლქის და სოხუმის ოლქისა—9 დეკემბერს ხოლო განმეორებითი 28 დეკემბერს. სოფლის მამულებზე ქუთ. გუბ. სოხუმის და ბათუმის ოლქისა და იმ მამულებზე რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული, დანიშნულია—11 დეკემბერს ხოლო განმეორებითი 30 დეკემბერს.

◆ **დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცნი.** თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან: მაისურაძე დათა ზაქარიას ძე, კოკელაძე ილიკო ლაზარეს ძე, რობაქიძე კარლო ნიკოლოზის ძე, ჩელტაშვილი ივანე, ჩელაკონია ბათ. კაცია ლაზარე გიორგის ძე, ხასიშვილი პლატონ მიხაკოს ძე, ტოლარაია ივანე, ბოსტაშვილი ბაგრატ ალექსანდრეს ძე, ხოხია სიმონ ანტონის ძე, ივანიშვილი სიმონ გიგოს ძე, თავზარაშვილი შალიკო მიხაკ., ტარაბაიძე ნიკო მაქსიმეს ძე, შეშეშვილი ივანე იაკობის ძე, კიკაძე შიო ზაქარიას ძე, დემეტრაშვილი გიორგი, მჭედლიშვილი ვასილ ანდრიას ძე, სიამაიშვილი ემელიანე გიორგის ძე, ჩხეიძე ლადიმე მაქსიმეს ძე, ზაზაძე იაგორ, სუხიდაშვილი იოსებ, ამაშუყელი ნიკო იასონის ძე, კერესელიძე ნიკო, დისიმშალაძე კიტა ნიკოლოზის ძე, პანიკაშვილი ეკ. ე., ასათიანი მიხაკო, სომოკაშვილი მოსე, პავლიაშვილი თედო თედორ. ბენაშვილი მოსე, ბჟალავა იასონ ერასტ., კურიშვილი ნიკო, ჯავახიშვილი ალექსანდრე დათას ძე.

◆ **გადმოხვეწილთა დახმარება.** თბილისის ვაჭართა კომიტეტმა 700 ცალი თბილი სამოსელი გადასცა სომეხთა გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.

◆ **გადმოხვეწილთა დათვალიერება.** რომანოვის კომიტეტის წარმომადგენელი კამერგერი ნიკიტინი სანაინს წავიდა და იქიდან ერევნის გუბერნიაში მიემგზავრება გადმოხვეწილ სომეხ მდგომარეობის სანახავად. ნიკიტინს თან ახლავს ეპისკოპოსი მესროპი.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ნარკვევში შეცდომით არის დაბეჭდილი: ჩვენს **მამაკაცთა ოცნებას**. უნდა იყოს: **მამაპაპათა** და ხვა.

---

## გერმანეთის მსოფლიო პოლიტიკა

Frankh. Ftg.-ში მთელი სერია წერილებია მოთავსებული გერმანეთის მსოფლიო პოლიტიკის შესახებ. შემოკლებით მოგვყავს წერილები: „გერმანეთის წინ ასეთი ალტერნატივაა: ან დაიღუპოს ხალხთა ბრძოლაში, ან და განიმტკიცოს მსოფლიო ძლიერება. ამ ომის შემდეგ მხოლოდ იმ ხალხს გაუწევენ ანგარიშს, რომელნიც ისედაც ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენენ და შეკავშირებით შეადგენენ ერთს მძლავრს სახელმწიფოს. თუ გერმანელები სცდილობენ, რომ განიმტკიცონ ძლიერი სახელმწიფოს ნიადაგი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომც მათ ჰსურდეთ გასრისონ სხვა სახელმწიფონი, ანუ დაიმორჩილონ იგინი. მართალია, გერმანეთის პოლიტიკური და კულტურული მუშაობა შეკავშირებულია მის არსებობასთან, მაგრამ გერმანელები არც დიად იდეალებს ივიწყებენ და მათ ფრთხილად სდარაჯობენ.

მომავალ გერმანეთზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, ჯერ უნდა განისაზღვროს მისი გეოგრაფიული რუკა. აღმოსავლეთით გერმანიას საზღვრავს უზარმაზარი რუსეთ-აზიის იმპერია, ზღვის გასვლისთანავე თვალწინ ეჩხირება ინგლისი, ხმელთა შუა ზღვის მხრით კი გერმანეთს ალპები უღობენ გზას. რუსეთი სტიქიურად გვაწვება. ამისი შეჩერება მეტად ძნელია. თვით რუსეთის მემარცხენეთა პოლიტიკაც კი ვერ შეაჩერებს მას. რუსეთის ავტოკრატია და ბიუროკრატია უმალ უარს იტყვიან გერმანიასთან ბრძოლაზე, ვიდრე ბურჟუაზია, რომელიც თავისუფლების მოპოვებას სცდილობს. თუნდაც რუსეთში განთავისუფლებულ გლეხობის ბატონობა ყოფილიყო, მაშინაც კი მშვიდობიანობის თავდები არავინ იქნებოდა, რადგანაც რუსეთის მოჭარბებული გლეხობა უნებურად საომრად მისკენ იწევს, ხოლო ინდუსტრიალ-პროლეტარულ რუსეთზე ხომ ფიქრის გატარებაც ძნელი არის. გერმანეთის საბედისწერო დამბაჩა სწორედ ამ რუსეთის ხელშია, მან უნდა გადაიტანოს რუსეთიდან გადმოხეთქილი ნაკადულის მოწოლა.

რაც შეეხება ინგლისს, აქაც მეტოქეობა ჰსუფევს: ვაჭრობამ და მრეწველობამ ორივე მხარე აიძულა საბრძოლველად გამოსულიყო.

გერმანეთს სასტიკი ბრძოლა უხდება ამ ორ უკიდურეს სახელმწიფოს შუა. შედარებით გერმანეთი პატარა სახელმწიფოა და რაც უნდა კარგი არმია ჰყავდეს, მაინც მისი ძალ-ღონე განსაზღვრულად უნდა ჩაითვალოს...

გერმანეთის მსოფლიო პოლიტიკა ვერ იხელმძღვანელებს იმ აზრით, ვითომც ერთ-ერთი, თვის მეტოქე სახელმწიფო ჩანთქას და მოსპოს. რუსეთის სრული განადგურება შეუძლებელია. ინგლისის დაცემა კი გერმანიას არას შესძენდა, პირიქით, ეს გამოიწვევდა რუსეთის გაძლიერება- აყვავილებას.

ინგლისს, ბევრიც რომ ეცადოს არ შეუძლიან გერმანეთის მოსპობა. რანაირი ზარალიც არ უნდა მოგვაყენოს, ყველა ეს ისეთი ჭრილობა იქნება, რომლის მორჩენა ადრე თუ გვიან შეიძლება. ინგლისს არავითარი ინტერესი არა აქვს მოსპოს გერმანეთი, ვინაიდან ამით რუსეთს შეაძლებინებდა უსაზღვროდ გაზრდილიყო. უკვე არხის იქით გაისმის ხმები, ასეთი პოლიტიკა თავის კვლის თანასწორი იქნებაო. თუ ინგლისში შეიგნებენ, რომ გერმანეთის გასრესა არ შეიძლება, თუ ინგლისის ახალშენები შეიწყნარებენ იმ აზრს, რომ მათი მსხვერპლი სრულიად უნაყოფო იქნება, მაშინ ინგლისს აღარასოდეს აზრად არ მოუვა მომავალში გერმანეთის გასრესვაზე იფიქროს კიდევ...

როგორ შეუძლიან გერმანეთს თავის მისიის შესრულება? მან უნდა შემოიკრიბოს წვრილმანი ერები. იმ უკანასკნელთა უნდა ნდობა ჰქონდეთ მისი და ესმოდეთ, რომ გერმანეთს არავითარი ტენდენცია არა აქვს წვრილ ერთა დასაჩაგრავად. ავსტრიამ და ოსმალეთმა ასეთივე ნდობა მოიპოვონ თავიანთ გარშემო შემორტყმულ წვრილმან ერებში...

ქ.

---

## გამოქცეულები დასავლეთ საქართველოში

გამოქცეულთა „აღმოჩენამ“ დასავლეთ საქართველოში დიდი კამათი გამოიწვია. ეხლა ამ საკითხის შესახებ გაზ. „ტიფლ. ლისტ.“ მოჰყავს ვრცელი ცნობა. რამდენად შეესაბამება ხსენებულ გაზეთის ცნობა სინამდვილეს ჩვენ არ ვიცით, ამიტომ სრულიად უკომენტარიოდ ვბეჭდავთ მას.

„ამა წლის ენკენისთვეს ქუთაისის ქალაქის მოურავს, რომელიც ქალაქთა კავშირის წევრიც არის, თბილისიდან შეეკითხნენ, არიან თუ არა გადმოხვეწილნი ქუთაისის გუბერნიაში და ან, თუ არიან დაახლოვებით გაგვაგებინე მათი რიცხვიო. ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა შეკითხვაზე უპასუხა, არც თვით ქუთაისში და არც ძის მაზრებში გამოქცეულები არსად არიანო. ეს პასუხი საეჭვოდ მიიჩნია როგორც თბილისის ისე ქუთაისის პრესამ და საზოგადოებამ, ამიტომ თბილისიდან ხელახალი შეკითხვა გაიგზავნა, სადაც გადმოხვეწილთა შეხიზვნის ადგილიც კი იყო ნაჩვენები. ზუგდიდის მაზრაში ყოფილა 900 კაცი, სენაკისაში 7,600, ოზურგეთისაში 4,000, სოხუმის ოლქში 6,500 სული. ნაჩვენები არ არის მხოლოდ რამდენი გამოქცეულია ქ. ქუთაისში. ზემორე მოყვანილ ცნობას გაზეთი თავის საკუთარ კორესპონდენტის ახალი გამოკვლევით, სრულიად სპობს და ადასტურებს ბ-ნ ი. ჩიქოვანის პასუხს, რომ ქუთაისის გუბერნიაში გამოქცეულნი არ არიან და თუ არიან მათი რიცხვი მეტად უმნიშვნელოაო.

---

## უძველესი კულტის ნაშთები ქართველთ ცხოვრებაში

(შემდეგი)

**ჯინებს**, ანუ მავნე პირებს ღმერთი იმსახურებდა ხანდახან თავის რჩეულ და სათნო მეფეთათვის ასეთი იყო იმავ არაბთა წარმოდგენით, მაგალითად სოლომონი რომელსაც ჯინებმა უშველეს პალატების და ძეგლების აგება. ეს ბიბლიური თქმულება, რომელიც ისლამის ბრძმედში გამოწრთობილა, ნაკრთომად მოსჩანს აგრეთვე ერთ იმერულ თქმულებაში. თანახმად იმ თქმულებისა, მეფეს დავით აღმაშენებელს ერთი **ჯორი** ჰყოლია (ეგებ პირველად **ჯინიც** იყო და იმერლებმა თავის საყვარელ ჯორად აქციეს) და როცა გელათის ტაძრის აღმოსავლეთის კედლის ორი დიდი ქვა ამოსატანი ჰქონია, მაშინ თურმე იმ ჯორზე სხდებოდა და ამოჰქონდა ასე, რომ ცალ ხელში დიდი ქვა ეჭირა და ცალის ხელით თავს ივარცხნიდა, ბოლოს კი ის ჯორი, იმ წყაროს მილში შემძვრალა, ტაძრის ჭალავანში რომ არის.

მავნე სულს [illegible] პირში ჩაუძვრეს ადამიანსა, განსაკუთრებით ძუძუთა, პატარა ბავშვსა. რაკი ასეთი შემთხვევა მოსალოდნელია უფრო ღამით, როცა ყოველი მავნე აიშვებს თავსა, ძუძუთა მიჰყავსთ პირზე ხელ დაფარებული. ხშირად პატარებს შანებს (ავგაროზს) შეაბმენ და ნახირს ხის ჯვრებს, ხანდახან ჟღარუნა, ზარიან ეჟვნებს დაჰკიდებენ. მაცდური სული საერთოდ დასდევს ადამიანსა. მის განსადევნელად აბაშელი (აბაშეთის) ქალები ცეკვენ გაშმაგებით, თანვე ჰყადობენ, ანუ მღერიან. ის ამბავი, რომ სიმღერა, მღერა ძველად თამაშს ჰნიშნავდა და ეხლა საერო გალობასაც მოასწავებს, ნებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ჩვენშიაც შესაძლებელი იყო, ცეკვა-გალობას პირველად სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდა. რასაკვირველია, აბაშელებს (აბაშეთი) და ებრაელებს უფრო სჯეროდათ მავნე სულის ჩაძრომა ადამიანის სხეულში. მაგალითად აბაშელების აზრით ყოველი ბნედიანი და მემთვარიე ეშმაკეული, ეშმაკის მიერ კვეთებული იყო და კმაროდა რომლისამე წმინდანის სახელის ხსენება მის განსადევნელად. ამავე აზრის იყვნენ ებრაელები და სახარებაში სასწაულებიც კია მოთხრობილი ეშმაკეულის განკურნებისა. ჩვენს ხალხსაც სჯერა ადამიანის ეშმაკეულობა, მაშასადამე მისწრაფება მავნე სულისა, რომ კაცს ჩაუძვრეს, ამის გამო დაწოლისას, თუ ღამით მგზავრობის დროს იტყვიან ყოველთვის, ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული, ვერას მავნებს მაცდურიო, ახსენებენ აგრეთვე წმინდა გიორგის სახელსა.

ადამიანის თვალის ვითარებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ღუხჭირ დედაბერს არ დაახედებენ ქორფაზე შიშით, თვალი არ ჰკრას, რადგანაც სწამსთ ასეთი ხალხის თვალის სიავე. ამას თვით დედაბერებიც ჰგრძნობენ და როცა ჰნახვენ ბავშვსა, თუ სხვა რამ სულიერს, როგორც მაგალითად საქონელს, ფრინველს ან სხვა შინაურ ცხოველებს, განსაკუთრებით მოსაწონსა, მაშინვე დაიხშვენ გრძნობას და მოწონებას არ გამოაცხადებენ, არ გამოამჟღავნებენ, რადგანაც ჰშიშობენ, მოწონების გრძნობის გამომთქმისათანავე თვალი არ ჰკრან უნებურად. კარმიდამოც კი არ არის დაცული მათი თვალისაგან, რის ასაცილებლადაც შენობის შესავალის კარის ზღრუბლზე დასჭედენ ხოლმე ნალსა.

დედაბერი, ხშირად კუდიანი, რომელიც ხანდახან კატადაც იქცევა· სხვა ქვეყნებში მაგალითად ამერიკის მკვიდრთ (არა ევროპელთ) სჯერათ, რომ მკითხავს, ანუ ჯადოქარს შეუძლია იქცეს სხვა ცხოვლადაც.

თვალ ნაკრავის, ანუ მონახდომის მოსარჩენად ჰხმარობს ჩვენი ხალხი ხატის ნაბანსა, რომელსაც შელოცვის შემდეგ ავადმყოფს ასმევენ. წმინდა ნივთის ნაბანი იხმარება წამლად აგრეთვე შუაგულ აფრიკის მკვიდრთა შორის ასე, რომ ჭრილობის მოსარჩენადაც კი გაჰბანვენ შანას და მერმე მის ნაბანს დაჰლევენ.

II

მცენარეულობის, განსაკუთრებით დიდ-დიდი ხის თაყვანის ცემა ძველად ძლიერ იყო გავრცელებული ჩვენში. მისი კვალი ეხლაც სჩანს ხალხის სარწმუნოებაში მხოლოდ გამოყენებულად ქრისტიანობის საჭიროებისათვის. პატივცემულია დიდი მუხის, თელას, ცაცხვის, ჭანდრის ხეები, რომელიც ამშვენებს ხშირად მაღლობზე, თუ ბარად აშენებულ ეკლესიებსა. მუხას ძველი ქართულით უნდა ჰქრმვოდეს **ჰყონი**, რომელიც დღეს მეგრულში დარჩენილა, რადგანაც **მუხა** არიული ძირის არის და მოგვაგონებს გერმანულ **eiche** სიტყვას, რომელიც ქართველებს **მ** სემიტურის თავმართით გამოუთქვამთ. აი ეს ჰყონი, ჰყონ-დიდი (მუხადიდი) ყოფილა მეგრელთაგან თაყვანცემული და თუ მარტვილის მაკურთხეველს ეწოდებოდა **ჰყონდიდელი**. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ აწინდელი მარტვილის ტაძრის ადგილზე ძველად, ქრისტიანობის შემოღებამდე უნდა მდგარიყვეს დიდი მუხა, ანუ მუხა დიდი, რომელსაც აღმერთებდნენ მეგრელჰანები. ქრისტიანობის ცისკრადვე მცხეთაში სიწმინდის სახელი გასთქმია ერთს დიდი ნაძვის ხეს, რომელიც მეფის ბაღში მდგარა. მიზეზი ყოფილა ის, რომ, როგორც თქმულებაა, მცხეთელ ურიას ელიოზს მოუტანია იერუსალიმიდან იესოს კვართი, კვართი კიდევ გამოურთმევია ელიოზისთვის მის დას

სიდონიას, რომელსაც მაშინვე სული დაულევია. მერმე სიდონია იმ კვართითვე იქვე დაუსაფლავებიათ, მერმე კიდევ მის საფლავზე ამოსული დიდებული ნაძვი და სასწაულმოქმედება დაუწყია, რადგანაც მირონი, რომელიც სდიოდა, სნეულთ მკურნებელი ყოფილა.

(შემდეგი იქნება)

პეტრე მირიანაშვილი.

## „ხარფუხის" კლუბში

(გაკვრით)

„თვალი კი არ ეცეს" და ხარფუხის კლუბი აღარა ხუმრობს: ისეთი კვირა არ გავა, რომ ერთი-ორი აზრიანი საღამო მაინც არ მოაწყოს ხოლმე.

აქ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ ჩვენ ვერ თანავუგრძნობთ კლუბების არსებობას იმ სახით, როგორითაც ისინი, დღეს-დღეობით ჩვენში მოქმედებენ, ვინაიდან მათში გაღებული უზომო ხარჯი,—ბანქო-ლოტო-ნარდის თამაშში და ვახშმებში, ნივთიერ ზიანის გარდა, ზნეობრივადაც აქვეითებს და ათახსირებს მათში მოსიარულეთ. ესრეთ უარსაყოფ მხარის ცოტა არ იყოს დასაფარავად, კლუბების შეგნებულ მესვეურთ, ყოველთვის შეუძლიანთ და სახსარიც შესწევთ აზრიან და სასარგებლო საღამოების მოწყობით შეიმსუბუქონ კლუბების უარყოფითი მხარეები: ყოველდღიურ, ფუქსავატურ გასართობების გარდა, კვირაში თითო-ოროლა საღამო უნდა დაეთმოს ლექციებს, სალიტერატურო-სამუსიკო დილა-საღამოებს, წარმოდგენებს და სხ.

ამ მხრივ „ხარფუხის" კლუბს იმდენად არ ესაყვედურება: ეს ჯერ ნორჩი დაწესებულება, რამდენადაც მას ძალ-ღონე შესწევს, სცდილობს გონიერ-გასართობიც მიაწოდოს თავის წევრებს და სტუმრებს.

„ილიას საღამოს" შემდეგ, რაიც *) ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული ოთხშაბათს, ხარფუხის კლუბშივე გაიმართა ქართული წარმოდგენა ჩვენ დამსახურებულ მსახიობთა მონაწილეობით. წარმოადგინეს ქ-ნ ნ. აზიანის სამ მოქმ. კომედია „ფული და ხარისხი", რომელშიაც ჯეროვანის დაკვირვებით არის დახასიათებული, ზოგიერთ ქართველ ფეოდალების დ სომეხ ბურჟუების ხორცმეტობა... კაცი უყურებს ამ პიესაში გამოყვანილ, ჯერ კიდევ არსებულ, ტიპებს უსაქმურთ, მიწა-წყლის უაზროდ მფლანგავთ, ჩვენ ბრწყინვალე წოდების ახალგაზრდობისას და ნაღვლიანად ჰფიქრობს: რა სიკეთეს უნდა მოელოდეს საზოგადოება ასეთ ხორცმეტ წევრებისაგან.

წარმოდგენამ, შედარებით, მწყობრად ჩაიარა, თუმცა ეს... ძვირად დაუჯდა მოკარნახეს, რომელიც, წარმოდგენის გათავებისას, ყელშეხვეული დაბრუნდა სახლში...

მონაწილეთაგან მომზადება ეტყობოდათ და დაკვირვებული თამაშით ყურადღებას იქცევდნენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე და ჯავახიშვილი, ბ-ნნი დ. მგალობლიშვილი, ვ. აბაშიძე და იმედაშვილი.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, კმაყოფილიც დარჩა.

გი—ახ—ელი.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

8 გიორგობისთვეს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულ მწერალ-დეპუტატის **ჭოლა ლომთათიძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

— საკოოპერაციო საზოგადოებაში, თათბირზე გადასწყვიტეს პირველად ფურნე გახსნან.

— საადგილ-მამულო კომიტეტმა დამფასებელ კომისიაში აირჩია: გ. ლაღიძე, ვ. დადიანი, დ. ჩხეიძე და პ. ქავთარაძე.

**გ ო რ ი.**

ამას წინად გამოწვეული ფქვილის ნაკლულევანება შენელდა, ფქვილი უკვე მოვიდა, მაგრამ ეხლა გვაკლია სხვა საგნების სანოვაგეულობა. ქალაქში შაქარი საარაკოდ გაძვირდა, მეტად ძვირია კვერცხიც.

— 15 გიორგობისთვეს გორის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას კრება ექნება სურსათსანოვაგის საკითხის მოგვარების თაობაზე. თათბირზე მიწვეულნი არიან ქართლის სხვა და სხვა სოფლების წარმომადგენელნიც.

*) ამ ახლო ხანში იქვე განზრახულია „ვაჟა-ფშაველას საღამოს" გამართვა.

**ს ო ხ უ მ ი.**

დამპალ ციებასთან საბრძოლველად შემდგარმა კომისიამ ქალაქის გამგეობის წინაშე იშუამდგომლა, რათა მიეცეს კომისიას ერთი დესეტინა მიწა ქალაქის განაპირა ადგილას ინსტიტუტის ასაშენებლად, სადაც გამოიკვლევენ ტრაპიულ ავადმყოფობათა გაჩენის მიზეზებს.

**ბ ა ქ ო.**

ბაქოს ქართული სამხატვრო-სალიტერატურო წრე და ქართ. სამკითხველო ახალ ბინაზე გადავიდა. კარანტინის ქუჩა № 76.

-- აქაური ქართულ სცენის მოყვარეთა სექცია ამ რამდენიმე ხანში წარმოადგენს პ. ირეთელის პიესას „დამარცხებულნი".

— ბაქოში თანდათან მრავლდება სამუშაოს მაძებარი ქართველი მუშები.

**დ. ხონი.**

23 ღვინობისთვეს დ. ხონში გაიხსნა საკოოპერაციო დუქანი, დუქანს ჯერჯერობით აქვს: ჩაი, შაქარი, ასანთი, მარილი, ნავთი და სხვა. ფურნის გახსნას ამ მოკლე ხანში აპირებენ.

კოოპერატიულ საზოგადოებაში წევრებად ხალხი დიდის ხალისით და იმედით ეწერება.

**დ. საჩხერე.**

აქ დაარსდა უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლა და მოეწყო მუდმივი წარმოდგენების მმართველი წრე.

**სოჩა (აფხაზეთი).**

სოჩაში ამ ჟამად ადგილობრივი კომისია მუშაობს და საჭირო მასალებს ადგენს პეტროგრადში წარსადგენად. სოჩს ჰპირდებიან საქალაქო თვითმართველობის შემოღებას.

**კისლოვოდსკი.**

დარბეულ სერბთათვის აქ მცხოვრებმა ბერძნებმა ფული მოაგროვეს, რომელიც უკვე გაიგზავნა დანიშნულ ადგილს.

**პიატიგორსკი.**

პიატიგორსკის სამხედრო სამრეწველო მთავარი კომიტეტი შეუერთეს როსტოვის სამხედრო სამრეწველო მთავარ კომიტეტს.

**ნალჩიკი (თერგის ოლქი).**

აქ მოსახლე 50 კომლმა ქართველებმა ქართული სკოლა უკვე დაიარსეს. ამას წინად ორი იაფ ფასიანი წარმოდგენაც გამართეს, რომლის შემოსავალი 140 მან. იყო. ფული გადაიდო სკოლის სასარგებლოდ.

**სოფ. ამბროლაური (რაჭა).**

მოსავალი ამბროლაურში წელს ძლიერ ცოტა იყო. ადგილობრივი მთავრობის მოხელენი მეტად თავგასულნი არიან. ამბროლაურის სამკითხველოს ყურადღებას არავინ აქცევს, იგი დიდ განსაცდელშია და ლამის არის დაიკეტოს, თუ გულშემატკივარნი საჩქაროდ არ მიეშველა.

## რუსეთი

**უსურიის მხარეში.**

უსურის მხარეში, სოფ. მანაკინოს მახლობლად 30 ენკენისთვეს ატამანს შეუმჩნევია 40—50 შეიარაღებული ხუნხუზი, რომლებიც, თურმე, კორეელ მოიჯარადრეებს სძარცვავდნენ. ამავე დროს ხუნხუზები რაღაც ქაღალდს უკითხავდენ კორეელებს. ატამანმა მარკომა სოფელში ყაზახებს მოუყარა თავი, ბერდანის თოფებით შეაიარაღა და ხუნხუზებისაკენ მიაშურა.

ხუნხუზები სოფელს მიუახლოვდნენ. ორივე მხარე ჩასაფრდა. ხუნხუზებმა სროლა ასტეხეს და ატამანის ძმა მოჰკლეს. ხუნხუზებს ორი მოუკლეს. ხუნხუზებმა სროლის მიხედვით ივარაუდეს ყაზახთა რაოდენობა და თანდათან წინ წამოცურდნენ. ატამანმა სოფელს შეაფარა თავი. სროლამ ოთხს საათს გასტანა, შეღამების მერე ხუნხუზები ჩინეთის საზღვრისაკენ მიეფარნენ.

გაძარცულ მოიჯარადრეთა სიტყვით, გამოირკვა, რომ ეს ხუნხუზები სულ კორეელები იყვნენ, ბერდანკის თოფებით შეიარაღებული. ხუნხუზები, თურმე, უკითხავდნენ უმაღლეს ბრძანებას, სადაც ნათქვამი იყო, რომ ისინი კორეიდან არიან საგანგებოდ გამოგზავნილი ჯარისკაცების მოსაგროვებლად. ყველა ახალგაზდა კორეელები, ვინც კი რუსეთის ქვეშევრდომი არ არის, მოვალენი არიან ჯარისკაცად ჩაეწერნენ, სხვებმა კი სამაგიერო ხარკი უნდა გადაიხადოს ფულით ან იარაღით. კორეიაო, ეწერა ბრძანებაში, ჩინეთთან ერთად მალე იაპონიას აუტეხს ომსაო.

ხუნხუზებს მდევარი ყაზახები გაჰყოლეს, და გამოირკვა, რომ ისინი ჩინეთის საზღვარზე გადასულიყვნენ. მათ თან წაეყვანათ 15 ახალგაზდა კორეელი და ამბად დაეტოვებინათ, მალე დავეცემით სოფელ კორსაკოვსა და კროუნოვკასო.

გზათა მინისტრმა ტრეპოვმა სამსახურიდან დაითხოვა ნიკოლაევის რკინის გზის სადგურის უფროსი ივანოსკვი, რადგანაც სადგურზე აუარებელი ვაგონები ჰქონდა დაბანდებული. ივანოვსკის თურმე, ძალიან ჰყვარებია მიუსურატიული მიწერ-მ. წერა, 30 ქრისტეშობისთვეს მის უკანასკნელ ქაღალდს აწერია თურმე, 1.777.810 ნომერი.

## უცხოეთი

**ჩინეთი.**

მსოფლიო ომმა მთელი ქვეყნის გულისყური თავისკენ მიიზიდა და ომის გარეშე მდგომი ქვეყნები თითქმის დაივიწყებას მისცა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას უახლოვდება ბრძოლის პირი, ყველა ყურს აცქვეტს ხოლმე, როგორ მოიქცევა და ვის მხარეს დაიჭერს ესა თუ ის ქვეყანა. დღეს ასევე მივიწყებულია ჩინეთის ცხოვრებაც და იქით მისახედავთაც არავისა სცალიან. ჩინეთში კი ამ დროს ბევრი რამ საგულისხმო ხდება. იუნშიკაის მეფობის აღდგენა ჰსურს. ამის გარშემო დიდი შეხლა-შემოხლაა ჩინეთის ხალხში, მაგრამ მკითხველის ყურამდე არაფერი აღწევს. როგორც კანტი-კუნტად დეპეშით გადმოცემულ ცნობებით სჩანს, გერმანელებს არც ჩინეთში სძინავთ, იქაც თავისებურის ხანდახანობით და ბეჯითად მოქმედებენ.

22 ღვინობისთვეს მაგალით. სააგენტოს ცნობა იყო. შანჰაიიდან იტყობინებიან, გერმანელები ინდოეთის ასაჯანყებლად აგიტაციას ეწევიან და მეამბოხეებს იარაღს უგზავნიანო. 1 გიორგობისთვეს შანხაიდან „ტაიმსს" ატყობინებენ: აქ დაატუსაღეს გერმანელთა დიდი ფირმის „მესერ და კომპ." წარმომადგენელი, რომელიც საფოსტო ამანათებად ინდოეთში რევოლვერებსა და პატრონებსა ჰგზავნიდაო.

4 გიორგობისთვეს ცნობა იყო: საფრანგეთის ნაღმოსანმა, გემ „იარმარუს" ბაქანზე დაატუსაღა მუკდენში მყოფი გერმანელთა კონსული გეიცე, რომელსაც შანჰაიდან ინდოეთში სამხედრო სურსათი და იარაღი მიჰქონდაო.

ამას დაუმატეთ ხუნხუზების თარეშის დაწყობა ჩინეთის საზღვრებთან და დაინახავთ, რომ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში რაღაც ამბები ხდება, რომელიც გარკვეულად ჩვენამდე ვერ აღწევს.

**იაპონია.**

არა ნაკლები გულისყურის მისაქცევია დღეს იაპონია, რომელიც მოკავშირეთა ფერხულშია ჩაბმული. იაპონიამ, გარდა იმისა რომ გერმანიას ახალშენები წაართვა ჩინეთში, რუსეთს დიდს დახმარებას უწევს. იაპონიაში 1200 ქარხანა 100,000 კაცს ამუშავებს რუსეთისათვის სამხედრო მასალის დასამზადებლად. იაპონია მოპირდაპირეა გერმანეთისა, მაგრამ გავიხსენოთ იგივე კანტი-კუნტი ცნობები, რომელსაც სხვადასხვა დროს დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემდა და დავრწმუნდებით რომ გერმანელების ქსელი იქაც საგრძნობლად გაბმულია.

ცნობები იაპონიიდან: 2 სექტემბერი. კომეში დაატყვევეს გერმანელი დერნბურგი, რომელიც რკინასა და სხვა სამხედრო მასალებს ყიდულობდა გერმანეთში გასაგზავნად. 8 სექტ. იაპონიიდან აკრძალეს გაზიდვა ხრომის ფოლადისა, ფეროხრომისა, შინლის მაუდისა და შალეულისა. 28 სექტ. რადგანაც ტყვე-გერმანელები აჯანყდნენ და გაქცევა მოინდომეს, იაპონიაში მათთვის სასტიკი წესები შემოიღეს.

10 ღვინობისთვე. იაპონიიდან გააძევეს ხუთი გერმანელი, რომლებიც იაპონიიდან გერმანეთში საიდუმლოდ ჰგზავნიდნენ სამხედრო მასალას. 16 ღვინობისთვეს აკამში ნიშნები აღმოაჩინეს, რომ თოფის წამლის საწყობის აფეთქება განეზრახავთ. რამდენიმე საეჭვო პირი სცდილობდა უძინის წამლის საწყობში შეპარვას. 17 ღვინობისთვე. რადგანაც გერმანელთა აგენტებმა არა ერთხელ სცადეს ასაფეთქებელ მასალათა საწყობის აფეთქება, საწყობთან დარაჯები გააძლიერეს. 18 ღვინობისთვე. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის სხვა პირთ მუქარის წერილები მიიღეს; თუ გერმანიის ბომბისტებს თავს არ გაანებებთ ტერორს დაგინიშნავთო. აღნუსხული ამბებიც ჰმოწმობს, თუ რაოდენის გაბედულობით და თავგანწირვით მოქმედებენ გერმანელები იაპონია-ჩინეთში და რა ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონიათ მათ დასახული. ვინ იცის, შესაძლებელია რაც მოხდა ბულგარეთში, რაც ხდება სპარსეთში, იგივე განმეორდეს ჩინეთსა და შეერთებულ შტატებშიაც ჯერ-ჯერობით კი შორეულ აღმოსავლეთისაკენ გულისყური არსებითად არავის მიუქცევია.

## წვრილმანი ამბები

**შურისძიება.**

6 გიორგობისთვეს პეტროგრადის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე ახალგაზდა ქალის ა. სოკოლოვისა, რომელმაც თავისი ქმრის საყვარელზე შური იძია. მისი ქმარი ნოვიკოვი ბავშობიდანვე გაიზარდა ტყავეულობის მოვაჭრე ვინმე ტ. ტახნოვასთან. როცა წამოიზარდა და ცოტაოდენი თანხა შეკრა, თავისთვის დაიწყო ვაჭრობა, ტახნოვასთან ყოველივე კავშირი გასწყვიტა და ბოლოს ცოლიც შეირთო ვინმე სოკოლოვის ქალი. ეს ამბავი რომ ტახნოვისამ შეიტყო, ნოვიკოვი მოხიბლა და კვლავ დაიახლოვა. ნოვიკოვი მთელ დღე-ღამეებს ატარებდა ტახნოვასთან სმა-ქეიფში. ერთხელ ასეთი გაჩაღებული ქეიფის დროს, ტახნოვას სახლში შეიჭრა სოკოლოვის ქალი, ტახნოვას გოგირდის სიმჟავე შეასხა თვალებში და ორივე თვალით დააბრმავა. ეს საქმე გაარჩია სასამართლომ და სოკოლოვის ქალს ექვსი თვით ციხე გადაუწყვიტა.

**ფრანგული ბულკი.**

პეტროგრადის ხელოსანთა სამმართველოში თათბირი მოხდა მეფურნეთა თანადასწრებით. დაადგინეს: რადგანაც უმაღლესი ხარისხის ფქვილი (კრუპჩატკა) 5 ფუთიანი ტომარა 19 მ. 50 კ. ღირს, თითო შაურიანი ფრანგული ბულკი 29 მისხალს უნდა იწონიდეს, ხოლო თუ ტომარა 18 მ. 50 კ. ღირს შაურიანი ბულკი უნდა იწონიდეს 32 მისხალს. სამკაპეიკიანი ბულკი პირველ შემთხვევაში 14 მისხალი უნდა იყოს, მეორე შემთხვევაში 17 მისხალი.

საგულისხმოა ვიცოდეთ, თბილისის ხელოსანთა სამმართველოს დაჰსიზმრებია როდისმე ამისი მსგავსი რამ საქმიანობა? თუ ამისთანა წვრილმანებზე არა სცდება?!

## წერილი რედაქციის მიმართ

**ბ-ნო რედაქტორო!**

**პასუხად „კახეთის" მუშას.*)**

გაზეთ „ზვირთის" მესამე ნომერში „კახეთის" საზოგადოების ერთ-ერთი მუშა ასწერს თავიანთ „აუტანელ" მდგომარეობას და მკითხველს ეგონება „კატორღის" მაღაროებიდან იწერებიანო. მიწაში, მესამე სართულის სიღრმეზედ, უჰაეროდ, დასნეულებულნი და სხვა... და სხვა, სამუშაო ქირა მცირე, შიმშილი და ათასი საშინელება. მაგრამ გავეცნოთ სინამდვილეს და მკითხველმა თვითონ განსაჯოს თუ რამდენად მართალია „კახეთის" მუშა.

„კახეთის" საზოგადოებაში სულ ორმოციოდე მუშაა. ამათში თითქმის ნახევარი თვიურია, დანარჩენი—დღიურები. თვიურებსა აქვთ ჯამაგირი 25—45 მანეთამდის, თითო ვედრო ღვინო, რომელიცა ღირს ერთი თუმანი, ხალათი, ფესტმალი და უფასო წამლობა. ეს სულ რომ შევაერთოთ გამოვა 40—60 მან. თვეში და ამის გარდა ყოველ მუშასა აქვს წელიწადში ერთი თვე შესვენება ჯამაგირის შენახვით.

დღიური მუშები იღებენ 1 მანეთიდან 1—30 კაპეიკამდე და ღვინოს 35 კაპ. ცხრა საათის მუშაობაში; ე. ი. 1—35 კ. 1—65 კ. საღამოს 4 ნახევ. საათზედ მუშაობა თავდება და მუშები შინ მიდიან.

„უჰაერო, ჯოჯოხეთურ" მუშაობას, რომელიც სწარმოებს მესამე სართულში—ეწევა მხოლოდ 5—6 მუშა და ისიც ყოველდღე არა, რადგან ძირის სართულში მხოლოდ ღვინის გადაღებგადმოღება და კუპაჟი სწარმოებს, რასაც დროული ხასიათი აქვს ხოლმე და იმდენად „ჯოჯოხეთურია," რომ სარდაფის მუშებიდან ვერას გზით ვერ იპოვის იმისთანას, რომელიც დასთანხმდეს მაგალითად კარისკაცობას, მეეზოვებას ან სხვა რამ საქმეს, რომელიც ჰაერზედ და ზედა სართულში სწარმოებს.

ამ 5—6 მუშის გარდა დანარჩენები მუშაობენ შუა სართულში და უმრავლესობა—ზედაში, ომის გამო, გამგეობამ მოუმატა ყველა მუშას და მოსამსახურეს ათიდან-თხუთმეტ პროცენ. და შემდეგ მათ თხოვნაზედაც პრინციპიული პასუხი მისცა, რომ კიდევაც მოემატებათ, რაც გამოირკვევა საქმის მდგომარეობა და მხოლოდ ერთი მუშის სულსწრაფობით და შეუგნებლობით შეიძლება აიხსნას „ზვირთში" მოთავსებული წერილი. საქმე ისაა, რომ „კახეთის" საზოგადოების წარმოება მეტად რთულია, ათასგვარი მხარე აქვს: განყოფილებანი და მათი მდგომარეობა, მთავარი საწყობი, წევრებისა და შესაძენი ღვინის ფასები, ბაზარი და სხ. და სხ. რასაც აწონდაწონვა, გამოანგარიშება უნდა, ვიდრე შეიძლებოდეს გადაწყვეტა, თუ რამდენი ხარჯის ატანა შეუძლიან. გარდა ამისა გამგეობის ხელთ არ არის თავისუფლად ამ ხარჯების გადიდება, ვინაიდან წევრთა საზოგადო კრება ამტკიცებს ყოველწლიურად გამგეობისათვის სახელმძღვანელო ხარჯთ-აღრიცხვას. ყველა ეს საკითხი გამოსარკვევი იყო, მოატანა იმ დრომაც, როდესაც ღვინის რაოდენობის და ფასის გამორკვევისათვის უნდა ევლო გამგეობას კახეთში; ერთი წევრი რუსეთში იყო წასული და რასაკვირველია გამგეობას არ შეეძლო ამ რთულ პირობების გამოურკვევლად გადაეწყვიტა მუშათა საკითხი, რომელიც მჭიდროდ დამოკიდებულია საერთო პირობებთან და მით უფრო თვით „კახეთის" ყოველმხრივ მდგომარეობასთან. აი რამ შეაგვიანა სამუშაო ქირის განსაზღვრული მომატება, თუმცა პრინციპიულად ეს უკვე [illegible] იყო და მუშებმა [illegible] შეგვიანება მით უფრო ადვილი ასატანია, რომ რაც უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, მომატება მაინც აქ ღვინობისთვიდან იქნებოდა ნაანგარიშევი, წესისამებრ (თვიურებისათვის).

ყველა ეს გარემოება იციან მუშებმა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს „ზვირთი"-ს მუშამაც, რადგან „კახეთის" საზოგადოებას, როგორც მწარმოებელ-გამსაღებელ კოოპერატივს დასამალი არა აქვს-რა.

დღეს, ღვთის მადლით, „კახეთის" საზოგადოების საქმეები შესამჩნევად გამოსწორდა, მას შეუძლიან პირნათლად და კარგი ფასებით დააკმაყოფილოს წევრებიც და ყველა ისინი, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს საზოგადოებასთან და რასაკვირველია მუშებიც. არც ეს გარემოება დამალული მუშებისაგან და მით უფრო გასაკვირალია წინასწარი საყვედურები და საგაზეთო წერილები, რომლითაც სრულიად უსაფუძვლოდ*) უტეხავენ სახელს ერთ-ერთ დიდს ქართულ კოოპერატივს.

**საზოგადოების წევრი.**

*) ამ წერილმა დაიგვიანა, რადგან ავტორმა გვიან წაიკითხა „მუშის წერილი".

ავტ.

*) როგორც დანამდვილებით ვიცით, დღეს უკვე ფაქტიურად აქვთ ნომატებული ფასი „კახეთის" მუშებს.

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія — Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre — Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საღ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის „აკაკი და მისი პოეზია" (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი" ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები"—ბეგლარ ახოსპირელისა „კოოპერატივები იტალიაში"—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეზვრიშვილები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.